სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 27 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, Головинскій пр. 199. Редакція „Эртоба". რედაქციის მიერ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 231 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 231

პარლამენტის წევრი ალექსანდრე და პორუჩიკი ვლადიმერ იოსების ძენი, მეუღლენი მათნი ელისაბედ ნიკოლოზის ასული და ნინა კონსტანტინეს ასული წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, ამხანაგთ და მეგობართ, რომ მათი მარად დაუვიწყარი დის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 27 ოქტომბერს, ანჩისხატის ტაძარში. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვიდი დღის 12 საათზე. (3—3)

ღრმად დამწუხრებულნი: ნინო ექვთიმეს ასული მამულაიშვილისა და თამარა მამულაიშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 27 ოქტომბერს დღით, კვირას 11 საათზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი პირველის ძვირფასი ქმრისა და მეორესი საყვარელი მამის

არსენ ანტონის ძე მამულაშვილის

ორმოცის აღსანიშნავად (2—2)

სომხის მუშ. პარტია დაშნაკცუტიუნი აღმოსავლეთის ბიურო, ცენტრალური კომიტეტი საქართველოში, თფილისის კომიტეტი, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ფრაქცია; ფრაქციები: პარლამენტისა და სომხურ ნაციონალურ საბჭოსი საქართველოში, ქალაქის საბჭოსი და სტუდენტების ორგანიზაციისა იუწყებიან, რომ დაკრძალვა ამხანაგ

ავეტიკ შახატუნიანისა

მოხდება კვირას, 27 ოქტომბერს. ცხედარს გამოასვენებენ ვანქის ეკლესიიდან დღის 12 საათზე. დაკრძალვენ ხოჯივანქის სასაფლაოზე. (2—2)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლავრენტი ივანეს ძე ბოკერია, უდროოდ დაობლებული შვილები: კლიმენტი, ნოე, აგრაფინა, პარმენი, შალვა და მიშა ლავრენტის ძენი, მაზლი ივანე ივანეს ძე ბოკერია ოჯახობით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი

პელაგია ბესარიონის ასული ბოკერიას

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდა 17 ოქტომბერს (ახ. სტ.) ს. სამიქაოს წმ. გიორგის ეკლესიაში.

მწარე ხვედრით გულდათუთქული მშობლები თემრაზ და ნინო, ძმები: პეტრე, დომენტი, ნიკიფორე, ალექსი, დები: ფიოდორია და ანიჩკა ბოკერიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი

ლევან თემრაზის ძე ბოკერიას

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდა 24 ოქტომბერს ს. სამიქაოს წმ. გიორგის ეკლესიაში.

გულდათუთქული და ღრმად დამწუხრებული ცოლი ტასია აუწყებს ნაცნობთ, ნათესავთ და ამხანაგებს, რომ კვირას, 27 ოქტომბერს (ახალი სტ.) 12 საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი (ნაძალადევში, ძმათა სასაფლაოზე) მისი საყვარელი და დაუვიწყარი ქმრის

პავლე ნიკოლოზის ძე ვიგორგინისა

რომელიც დაიღუპა სოხუმის ფრონტზე მტერთან ბრძოლაში.

ღრმად დამწუხრებულნი სიდედრ-სიმამრი საჩინო და ნატალია, ცოლის ძმა ვასო, მეუღლით და შვილით—ბაბუცა და ლიზიკო ტოგონიძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, 27 ოქტომბერს (ახ. სტ.) გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი (ნაძალადევში, ძმათა სასაფლაოზე) მათი ძვირფასი და დაუვიწყარი სიძის

პავლე ნიკოლოზის ძე ვიგორგინისა

რომელიც დაიღუპა სოხუმის ფრონტზე მტერთან ბრძოლაში.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები კოლა და მართა, ძმები პეტრე და სოკრატე, დები ელენე და ანნა და რძალი მარო აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და ამხანაგებს, რომ კვირას 27 ოქტომბერს (ახალი სტილით) იქნება გადახდილი სამოქალაქო წესით ორმოცი დღის პანაშვიდი უდროოდ დაკარგული მებრძოლის

პავლე ნიკოლოზის ძე ვიგორგინის

რომელიც იბრძოდა სოხუმის ფრონტზე. პანაშვიდი გადახდილი იქნება საფლავზე 12 საათზე, ძმათა სასაფლაოზე, ნაძალადევში. (2—2)

გულდათუთქულნი ქმარი დავითი, შვილები: ნიკოლოზი, თამარა, ნინა, ვახტანგი და ირაკლი გრატიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 25 ოქტომბერს გარდაიცვალა

მარიამ (მაშო) გაბრიელის ასული გრატიაშვილი

დაკრძალვა მოხდება ორშაბათს, 28 ოქტომბერს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. გასვენება საკუთარ ბინიდან 10 ნახ. საათზე, სუნჯენის ქ. 13.

თამარა მაქსიმეს ასული და კონსტანტინე თევდორეს ძე ქუთათელაძე, რაჟდენ, აგრაფინა, ელიჩკა, შურა და შალიკო ლეჟავეები გულდამწვარი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 24 ოქტომბერს (ახ. სტ.) ს. დიდ ჯიხაიშში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის, მესამეს, მეხუთეს, მეექვსეს და მეშვიდეს დედა, მეორესი სიდედრი და მეოთხესი დედამთილი

მარიამ თათეოზის ასული ლეჟავასი

დაკრძალვა მოხდება დღეს, 27 ოქტომბერს, ეზოს ხატის ეკლესიაში.

ღრმად დამწუხრებული ეპიფანე ლუკას ძე ზაქარეიშვილი ვაუწყებ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 8 ოქტომბერს გარდამეცვალა ორი წლის შვილი, ყვავილით, 17 ოქტომბერს გარდამეცვალა ჩემთან მყოფი 18 წლის ყმაწვილი

შალიკო ფრიდონის ძე ზაქარეიშვილი,

18 ოქტომბერს გარდამეცვალა უდროოდ მეუღლე ჩემი

ოლღა სპირიდ.-ტრაპაიძის ასული ზაქარეიშვილისა

რომლების დაკრძალვა მოხდა 21 ოქტომბერს წმ. ნინოს სასაფლაოზე.

## ჩვენ და სომხეთი

თუ სადმე იყო საჭირო ერთა სოლიდარობა—ეს პირველყოვლისა ამიერ-კავკასიის ერებისთვის. თუ ოდესმე იყო საჭირო ამ სოლიდარობის გამოჩენა—ეს პირველყოვლისა—დღეს, როცა მსოფლიო ხალხის ტრიალი თავბრუ დამხვევი სისწრაფით სწარმოებს, როცა ერნი და სახელმწიფონი ერთი მეორის მიყოლებით იშლებიან და ინგრევიან.

ომმა გამოსცადა მთელი ევროპა, გამოსცადა თვით ბურჟუაზიული წყობილების სიმტკიცე და არა ერთი თავზე ხელაღებული იმპერიალიზმი დაითრგუნა მთელი თავის სიამაყის გრძნობით და ყოყლოჩინობით.

აი, ასეთ დროს, ამიერ-კავკასია, რომელიც მეორე ბალკანეთს წარმოადგენს, ადვილად შეიძლება სათამაშო ბურთად გადაიქცეს ამა თუ იმ ძლიერ სახელმწიფოს ხელში.

სომხეთის თავდასხმას ბორჩალოს მაზრაში შეუძლია ამ მხრივ საბედისწერო გავლენა იქონიოს.

აქ სახიფათოა არა სომეხთა ჯარი, არა მათი იარაღის ჩხარუნი, საბედისწერო ერთა გადაკიდება, შინაური ომიანობა, რომელიც ყოველ გარეშე ძალას საშუალებას მისცემს თავის ლუკმათ გაგვიხადოს. სომხეთი არა მგონია მოგებული დარჩეს ასეთ კომბინაციისაგან. არაფერს მოიგებს არც საქართველოს დემოკრატია.

მაშ, რათ არის საჭირო ეს ძმათა შორის სისხლის ღვრა?

რომელ ბოროტ ხელს მოუნდა ახალი კოცონის ანთება იქ, სადაც ისედაც ბევრი სისხლი დაიღვარა, ისედაც ბევრი ცრემლი დაინთხა!

ჩვენ გადაჭრით ვაღვიარებთ, საქართველოს დემოკრატიული მთავრობა გულწრფელათ მოწადინებულია ზავი დაიცვას.

სომხის ჯარის პროვოკაციულ გამოსვლაზე, რასაც რამდენიმე ჩვენი ჯარის კაცის დაჭრა მოჰყვა, მაინც ვერ ჩაითრია ბრძოლაში დისციპლინით აღჭურვილი ქართველი ჯარი. მაგრამ განა მუხანათი ხელი არ აყო, რომელიც ტყვიას აზუზუნებდა, რომ ამით მშვიდობიანათ კონფლიქტის დათავებისთვის ხელი შეეშალა?

და ეს ბრალი პროვოკაციული მოქმედებისა ედება სომხის ჯარს, მის მთავრობას.

საქართველოს დემოკრატია, გამსჭვალული ერთა სოლიდარობის პრინციპით და სადაო კითხვების მედიატორული წესით გადაჭრის სურვილით, თავის მთავრობის პირით შესაფერ წინადადებას აძლევს სომხეთის მთავრობას. სახელმწიფოსთვის, რომელიც საჭიროთ სცნობს არა სისხლში ცურვას, არამედ მეგობრულ განწყობილების დაცვას, ასეთი წინადადების მიღების წუთიდან იარაღის ჩაგება ქარქაშში სავალდებულო უნდა იყოს.

როცა წერილს ვწერთ, ჩვენ კიდევ არ გვაქვს ცნობა, მიიღო სომხის მთავრობამ ეს წინადადება თუ არა. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მიიღებს. იმედი ჩვენი ემყარება არა დაშნაკცუტიუნის ღვთისმოსავობასა და კაცთმოყვარეობაზე, პირიქით, იგი ეყრდნობა სომხის დემოკრატიას და პირველ ყოვლისა სოციალდემოკრატიის სურვილს.

სომხეთის ჩვენი ამხანაგები ერთსულოვნათ არიან მოწადინებული ზავი არ დაირღვეს და დაშნაკელების ჯარის პროვოკატორულმა მოქმედებამ თუ ვერ გასჭრა, ზავი უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენ მივიღეთ დეპეშით ცნობა სომხეთის დემოკრატიისაგან ზავის სასარგებლოთ ვიმოქმედოთო. ჩვენის მხრივ, რასაკვირველია, სხვაგვარი მუშაობა შეუძლებელიც იყო. დემოკრატიამ აქ, ამ შემთხვევაში ძმურათ გაუწოდა ერთი მეორეს ხელი, მან დაუყონებლივ აღიმაღლა ხმა უსაშინელეს ბოროტების—ძმათა შორის ომის გაჩაღების წინააღმდეგ.

საქართველოს დემოკრატია, როგორც გამგე თავის ბედის, ერთიანათ შედგა ამ გზაზე. სომხის დემოკრატია, რომელიც სამწუხაროთ, ასეთ ძალას არ წარმოადგენს სომხეთში, მხოლოდ ოპოზიციით და ცხარე პროტესტით თუ შეაჩერებს ბ-ნ კაჩაზნუნის მთავრობას, რომელსაც სრულიად არა აქვს წარმოდგენა არც სხვა სახელმწიფოს პატივისცემაზე, არც თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობაზე.

იგი ჯარს გზავნის თფილისის გუბერნიაში თითქმის იმ საბუთით, რომ ჩვენ ვეთხრეთ ოსმალეთი რომ წავა, ამ კუთხის შესახებ საკითხს დავსვამთ და მის საქართველოს შემოერთებას დღეს საბოლოოთ გადაჭრილათ არ ვთვლითო...

ბ. კაჩაზნუნი ამის გამო დაუყოვნებლივ ჯარს გზავნის, სადაო ადგილებს იჭერს და ჩვენი ჯარის იქიდან გაყვანას ძალით აპირებს. განა ესაა დავის მშვიდობიანათ გათავება? თუ ესაა ნამდვილი საომარი მოქმედების გაჩაღება? კაჩაზნუნის მთავრობა, რომლის მოქმედება სომხეთის ეროვნულმა საბჭომ დაადასტურა—ეს ნამდვილი გამოცხადებაა ომის, ეს დაყრდნობაა ხიშტზე, იქ, სადაც უნდა ადგილი ჰქონდეს მოლაპარაკებას. ამჟამათ საქართველოს დემოკრატიის გამჭრიახობამ გვიხსნა ამ ობიექტიურათ პროვოკატორულ მოქმედებისაგან. მაგრამ სომხის დემოკრატიამ თუ ახლავე არ მიიღო ზომები ამ ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ და კაჩაზნუნის ავანტიურას ლაგამი არ ამოსდო, ხვალ შეიძლება შეტაკებები ისევ განახლდეს. ეს უნდა დაიხსომონ კარგათ ჩვენმა თანამოაზრეებმა სომხეთში. მათ ხელთ არის ბევრი რამის გაკეთება. საქართველოში მათი ყოველი დემოკრატიული ნაბიჯი გარკვეულ და სწორ გამოხმაურებას ჰპოვებს. და ჩვენ გვწამს, რომ სომხის სოციალდემოკრატები საბოლოოთ შეასრულებენ თავის წმინდა მოვალეობას მუშა ხალხის და სახელმწიფოს წინაშე.

## საერთაშორისო მდგომარეობა

დღეს ყველა ჩვენს მტრებს გერმანელების დამარცხება აკერიათ პირზე.

მას შემდეგ, რაც ბულგარეთი ჩამოშორდა გერმანიას და ოსმალეთიც იძულებული გახდა სეპარატიულ ზავისათვის მიემართა, ჩვენი მტრების სიხარული და იმედები გაორკეცდა. და ეჭვი არაა, ამ გარემოებას დიდი გავლენა აქვს დაშნაკცუტიუნის ავანტიურაზე, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ არის მომართული.

ასეთს არევ დარევის ხანაში დიდი სიდინჯე და შორსმჭვრეტელობა უნდა გამოვიჩინოთ, რომ საბედისწერო დ ხალხის დამოუკიდებელი ნაბიჯი არ იქნას გადადგმული. ამისთვის კი საჭიროა საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინება და მომხდარ ამბების ჯეროვანათ დაფასება.

რა მოხდა? ნუ თუ მართლა დამარცხდა გერმანია?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა, რადგან რა გერმანიის ბრალია, თუ დასუსტებულ ბულგარეთს გამხრწნელი ბოლშევიკური ალი მოედო; რა გერმანიის ბრალია, თუ ველური ოსმალეთი წელში გაწყდა და სეპარატიულ ზავის ჩამოგდებას თხოულობს. გერმანია ერთად ერთი სდგას ბრძოლის ველზე თავისი შესანიშნავი სახელმწიფოებრივი აპარატით და ძლიერი დემოკრატიით, რომელიც უკვე ჩადგა ქვეყნის მართვა გამგეობის სათავეში და ენერგიულათ აწარმოებს დემოკრატიულ ზავის და სამშობლოს დაცვის საქმეს. და მხოლოდ დაშნაკელების მსგავს თავზე ხელ აღებულებს შეუძლიათ თქმა, რომ გერმანია გაისრისება.

მაგრამ ერთი რამ ცხადია: ოსმალეთის მადა შეკვეცილია და დიდ ოსმალეთის ნაცვლათ, რომელშიაც ენვერფაშას ფიქრით, მთელი კავკასიაც კი უნდა შესულიყო, პოლიტიკურ რუქაზე ჩვენ ვიხილავთ ოსმალეთს, რომელიც მას ჭეშმარიტ ღირსებას შეეფერება.

და თუ ამ მხრით შევხედავთ საკითხს, ჩვენი მდგომარეობა დღეს უფრო მეტს იმედებს იძლევა: ბოლშევიკურ რუსეთის საფრთხესთან ერთად ჩვენ თავს ვახწევთ ოსმალურ საფრთხესაც.

ჩვენ პოლიტიკურს მომავალს, ჩვენს დამოუკიდებლობას და ნეიტრალობას მკვიდრი საფუძველი ეყრება.

ეს კარგათ იციან ჩვენმა ველურმა მეზობლებმა, რომელნიც ყოველ ზომას მიიღებენ, რომ ჩვენში ნიადაგი მოუმზადონ არევ დარევას.

ჩვენი დემოკრატია ფხიზლათ უნდა შეხვდეს შექმნილ მდგომარეობას და ენერგიულათ გაუმაგროს ზურგი ჩვენს მთავრობას, რომელიც ეცდება მეზობელ ქვეყნების დემოკრატიასთან შეთანხმებას და ავანტიურისტების ალაგმვას.

## ლტოლვილები და დაშნაკელები

საქართველოს რესპუბლიკა სავსეა ლტოლვილებით: ლტოლვილები არიან მესხეთ-ჯავახეთიდან და სომხეთიდან. პირველნი საქართველოს ქვეშევრდომებათ ითვლებიან და მათ შორის ბევრია ქართველიც. მეორენი უცხო სახელმწიფოდან ოსმალთა ჯარისაგან აწიოკების და მოწყვეტის შიშით გამოქცეულნი.

დღეს სომხის ნაციონალისტ შოვინისტ დაშნაკელების ორგანო „ორიზონი" ამ ლტოლვილთა ერთ ნაწილს, სომხებს დასტრიალებს თავს და საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას სდებს ბრალს ყველა იმ გაჭირვების გამო, რომელნიც ლტოლვილებმა გადაიტანეს.

გაზეთი გაცოფებულია საქართველოსადმი მძულვარებით, მისი დემოკრატიული მთავრობის არსებობა ვერ მოუნელებია. ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ საქართველოც აოხრებულ გაპარტახებულ მიდამოებს არ წარმოადგენს, ხოლო მისი მცხოვრებნი—აწიოკებულს და სახლ კარიდან აყრილს.

საერთოდ შოვინიზმის ნიშანდობლივი თვისებაა—სხვისი უბედურების ტრფიალი, სხვისი გაჭირვებით გახარება, სხვისი სისხლის ცქერით დატკბობა.

ასე სურთ დაშნაკელებსაც, რომელნიც საქართველოს შემოჰფარებიან და მათ შემფარებელ სახელმწიფოს კი ძირს უთხრიან.

მათს კადნიერებას საზღვარი არა აქვს, როცა სომხის ჯარი ბორჩალოს საზღვარზე მოდის, ისინი შიგნით სომხის ხალხს პირდაპირ თავაშვებული დემაგოგიით ამხედრებენ საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ. 300 ვერსი და წალკა მესაპოტომიაზე უარეს საფლავად გახდა სომხებისთვისო. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა უფრო გვტანჯავს, ვინემ ოსმალეთის სულთანის მთავრობაო. როცა ამ მოშხამულ წერილს სწერს ეს კაცთა მოძულე ორგანო, ნეტა რას ფიქრობს? ნუ თუ ის მაინც არ მოსდის თავში, რომ ეს ლტოლვილები აქედან კი არ გარბიან, არამედ აქეთ გამორბიან?

განა სამას ვერსზე საქართველოს ქვეშევრდომი სომხები არიან დასახლებული? თუ ოსმალეთში სჯობდა მათთვის, რატომ იქით წასვლას არ ურჩევს მათ ეს ლვარძლიანი ორგანო? საქართველოს არაად არ შეუვიწროვებია სომხები, რომელნიც მის მიწა-წყალზე ცხოვრობენ.

გორის, თფილისის, თელავის, სურამის და სხვ. სომხები მშვიდობიანათ განაგრძობენ თავის შრომას და ცხოვრებას. აბა დაგვისახელოს „ორიზონმა" რომელი საქართველოს სომხები გახდა ლტოლვილათ ჩვენის მიზეზით. ან სადაა ის სომხობა, რომელიც ჩვენ ლტოლვილებათ ვაქციეთ. ლტოლვილებათ ისინი გახადა დაშნაკელების პროვოკატორულმა პოლიტიკამ, მათმა მოღალატეობის ტაქტიკამ ყველა სახელმწიფოში, სადაც ამ პარტიას ფეხი შეუდგამს.

ლტოლვილები მოგვცა ერევანმა, ალექსანდროპოლმა, ბამბაკმა, ოსმალეთის სომხეთმა, მაგრამ ლტოლვილები არ მოუცია საქართველოს.

პირიქით, მან იგინი შეიფარა. დაშნაკელებმა აქაც ეს ლტოლვილები თავის პროვოკატორულ პოლიტიკის მსხვერპლათ გახადეს: ამ სხვის სახელმწიფოში ისინი საკოლონიზაციო მასალათ სურდათ გაეხადათ, რომ ამით ქართველ ხალხშიაც მტრული უნდობლობის დამოკიდებულება დაებადათ. რამდენიმეთ მათ კიდეც შესძლეს ეს: სომხებს ჩაუნერგეს სიძულვილი ქართველებისადმი, რომელნიც თითქო ვალდებულნი ყოფილიყვნენ მათთვის მამული დაერიგებიათ და ისინი თავის მიწა წყალზე დაესახლებიათ. და რადგან საქართველოს მთავრობამ მათ ასეთი განზრახვა გაუგო და ზომები მიიღო მათ აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, ისინიც სარგებლობენ ჩვენში სიტყვის თავისუფლებით და გესლს და შხამს ანთხევენ საქართველოს დემოკრატიას.

სომხის ხალხმა, განსაკუთრებით სომხის მშრომელმა მასსამ უნდა ყურადღება მიაქციოს ამ შოვინისტთა ველურ სისინს და დემოკრატიული ფრონტის შესანარჩუნებლად ლაგამი ამოსდოს ასეთ მუხანათურ დამცველებს. დაშნაკელები ეს მუწუკია სომხის ერის სხეულზე, ეს ბალღამია, რომელიც დასცლის სისხლისაგან სომხის ერს, თუ იგი დროზე არ განთავისუფლდა მათი შხამიანი გავლენისაგან.

## რისთვის გამოაცხადეს „შიმშილი"

მეტეხის ციხეში პატიმრათ მყოფმა ბოლშევიკებმა ჩვენს მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინეს: დაუყოვნებლივ შეგვატყობინეთ ჩვენი დატუსაღების მიზეზი და აგრეთვე ვადა, რომლამდის უნდა ვიჯდეთ ციხეში. ეს მოთხოვნილება ბოლშევიკებმა ასე ვთქვათ, დაასაბუთეს კიდეც: საჭმლის მიღებაზე უარი განაცხადეს.

ამ გარემოებით სარგებლობა განიზრახეს უპირველეს ყოვლისა სომეხმა ნაციონალისტებმა, რომელნიც თავის თავს სოციალისტ-რევოლიუციონერებს ეძახიან. მათ ამის გამო ორი შეკითხვა შეიტანეს ქალაქის საბჭოში და პარლამენტში. ამ საკითხს ეხებიან თვით დაპატიმრებული ბოლშევიკები. სოც.-რევოლიუციონერთა გაზეთ „ზნამია ნაროდა"-ში მოთავსებულია მათი წერილი რედაქციისადმი.

ვისაც სურს ერთხელ კიდევ წარმოადგინოს ბოლშევიკ მოღვაწეების პოლიტიკური ფიზიონომია, მან უეჭველათ უნდა წაიკითხოს ეს წერილი. წერილს პირველათ აწერს ხელს [illegible] კარგათ ცნობილი ბუდუ მდივანი და ამიტომ უნდა ვიფიქროთ ის გამომხატველია ადგილობრივ ბოლშევიკების სულისკვეთების.

რას სწერენ ისინი?

უმოქმედობაში ჩაგდებულნი ჩვენ დროებით ვითმენდით მთავრობის რისხვასო, მაგრამ იმ დროს, როცა საერთაშორისო მნიშვნელობის ამბები ხდება, ჩვენ აღარ ძალგვიძს ციხეში ჯდომაო. ამიტომ მოითხოვენ ისინი დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ როცა ჩვენი ველური მეზობლები მზათ არიან თავს წამოგვყონ, როცა სომხის დაშნაკცუტიუნი ჩვენს ზურგს უკან ოსმალეთთან ჰკრავს კავშირს და ომს გვიცხადებს—ამ დროს ბუდუ მდივანს და მის ღირსეულ ამხანაგებს სისხლს სუნი ეცემათ და მოსვენებას არ კარგავენ, განთავისუფლებას ითხოვენ. მერე ვის მიმართავენ ისინი? „ზნამია ნაროდას" მკითხველებს. სომეხ შოვინისტებისა და რუს ჩინოვნიკების სამსჯავროს გადასცეს ბ. ბუდუ მდივანმა და მისმა ამხანაგებმა დავის გარჩევა!

ასეთია ის „საზოგადოება", რომელსაც ბოლშევიკები მიმართავენ.

მაგრამ, ეტყობა, არც თვითონ ბოლშევიკებს აქვთ დიდი იმედი თანხმობის.

ამიტომ, ისინი კანონიერების სამოსელში ეხვევიან და საქართველოს მთავრობას უსაყვედურებენ: ჩვენს წინააღმდეგ გასამტყუნებელი საბუთი არა გაქვთ და ტყუილად ცდილობთ კანონიერი სახე მისცეთ თქვენს უკანონობასო.

რის თქმა სურთ ბოლშევიკებს? იმისა, რომ დანაშაული არ მიუძღვით ჩვენი რესპუბლიკის წინაშე? ან იქნებ ცოდვების შენანება სურთ? თუ ასეა, რატომ პირდაპირ არ იტყვიან! ხოლო თუ ჰგონიათ, რომ ჩვენს მთავრობას საბუთები არა აქვს მათი მოღალატური მოქმედების დასამტკიცებლად—ამაოთ იმედოვნებენ: ჩვენმა მთავრობამ კარგათ იცის, თუ რას აკეთებს. და როცა ბოლშევიკები კანონის ასრულებას მოითხოვენ, საინტერესოა ვიცოდეთ: რომელი კანონი უნდა აასრულოს ჩვენმა მთავრობამ? საქართველოს რესპუბლიკის კანონი, რომელსაც ბუდუ მდივანი და მისი ამხანაგები არ სცნობენ, თუ ბოლშევიკურ კომისართა საბჭოს კანონი, რომლის ძალით ბუდუ მდივანი და მისი ამხანაგები დიდი ხანია უნდა დაეხვრიტათ. და როცა ეს სისხლის გმირები ასეთს დიდი საკითხს გადაწყვეტას საჭმლის მიუღებლობით ფიქ-

რობენ, ჩვენ არ შეგვიძლია უსერხულობა არ ვიგრძნოთ ამ უებრო „მებრძოლთა“ მაგიერ.

დასასრულ, ვაკმაყოფილებთ ბოლშევიკების ცნობის მოყვარეობას: ჩვენ განზრახ ჩავსვით ფრჩხილებში სიტყვა „შიმშილი“, რადგან გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ყველაფერი ის, რაც ბოლშევიკებს ეხება, ფრჩხილებში უნდა იქნას ჩასმული.

# პრესა

„ზნამ. ნაროდა“ გახარებულია. ოღონდ მისი სურვილები განხორციელდეს და თუნდაც სულ დაქცეულა დემოკრატიული გერმანია. ალბათ ასეთი სიხარული ამოძრავებს ბ. ბოროდინს, რომელიც დიდ წერილს გვიძღვნის.

უპირველეს ყოვლისა, ბ. ბოროდინი ინტერნაციონალობას გვიწუნებს, მაგრამ სულგრძელათა სცნობს ქართველ დემოკრატიას. თურმე ყველაფერი მოთავეების ბრალი ყოფილა. ბ. ბოროდინი სწერს:

„ჩვენ ვიცით, თუ როგორ შეხვდა ქართველი ხალხი თავის მეთაურების პოლიტიკას. დუშეთის, თიონეთის, საჩხერის, ლეჩხუმის და სხვა კუთხეების გლეხთა მოძრაობა (იმის მიუხედავათ, თუ როგორია დამოკიდებულება ამ მოძრაობასთან), განა ეს იძლევა საბუთს ვთქვათ, რომ ქართველი ხალხი და მმართველი მენშევიკები ერთია“?

ასეთია ინტერნაციონალისტი ბ. ბოროდინი. ის რას დაგიდევს იმას, რომ გურია იმერეთში და ქართლ-კახეთში სრული სოლიდარობაა მთავრობისადმი, ის რას დაგიდევს იმას, რომ დუშეთ-საჩხერეში ხალხი ყაჩაღების ტერორის ქვეშ იყო და შეუგნებლობით წამოეგო პროვოკატორების ანკესს. ის ინტერნაციონალისტია, და ეს მისი „ინტერნაციონალობა“ ისე შორს მიდის, რომ გერმანიის იმპერიალისტებს აბრალებს რუსეთის დაშლას! და არ იცის, რომ რუსეთში ყოველი კუთხე სიცოცხლით დამოუკიდებლათ განაგებს თავის სახელმწიფოს? ის ღვარძლით იხსენიებს გერმანიას, რომელმაც დახმარება გაგვიწია ოსმალოს ურდოების წინააღმდეგ, და ქებათა-ქებას ასხამს ბაქოს ხელმძღვანელებს, რომელთაც ხალხის სისხლში აქვთ ხელები გასვრილი ასეთია ბოროდინის სოციალისტური იდეალი: მისი სიმპატია მხოლოდ ყაჩაღებს, მოღალატეებს და ავანტიურისტებს აქვთ დამსახურებული. ბ. ბოროდინი არც აშკარა პროვოკაციას ერიდება. ის სწერს: ადგილობრივი მენშევიკები ჩქარობენ მოშორდნენ გერმანიას, ჩქარობენ დაამტკიცონ, რომ მათ თავისი ბედი არასოდეს არ დაუკავშირებიათ გერმანიის ბედთან.

რუს სოციალ-შოვინისტების საყურადღებოთ ვაცხადებთ: როგორც არ უნდა შეიცვალოს საერთაშორისო მდგომარეობა, საქართველოს დემოკრატია არასოდეს არ დაივიწყებს იმ ღვაწლს, რომელიც გერმანიას მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე.

# საზოგადოებრივი აზრი

ბაქოს მიდამოებში მარტში და სექტემბერში მომხდარ საზარელ ქლეტას ჯერ ჯერობით შედეგათ მოჰყვა საზოგადოებრივი აზრის ამოძრავება.

მარტის გმირები, დაშნაკელები, რომელთაც თათრების ბოგანოთა სისხლში აქვთ ხელები გასვრილი და რომლებიც სომხის ხალხის სახელით ლაპარაკობენ მუდამ, ამ ჟამად საზოგადოებრივი აზრის მათ მხარეზე მიმხრობით ებრძვიან სექტემბრის გმირებს—„მუსავატისტებს“, ადერბეიჯანის რეაქციონურ მთავრობას და სხვათ, რომელთაც აგრეთვე წილი უდევთ ბაქოს სომეხთა ამოჟლეტაში.

ჩვენ კარგათ ვიცით, თუ როგორ მოღვაწეობენ ამ ნიადაგზე ჩვენში სომხის დაშნაკელები. ამ პარტიის წარმომადგენელთა შეკითხვები ქალაქის საბჭოში, დახოცილთა მოსახსენებლათ მოწყობილი პანაშვიდები, კრებები, საპროტესტო რეზოლიუციები და ბ. ჯემალიანის ნოტა ბაქოს ქლეტის გამო და ჯაფაროვის პასუხი ამაზე, აუარებელი საგაზეთო წერილები,—ყველა ეს ხდება და ტარდება ცხოვრებაში ჩვენს თვალწინ.

ერთი სიტყვით, სომხის ხალხის „მესვეურების“,—დაშნაკელების აზრით ყველაფერში დამნაშავენი არიან მუსულმანთა ხელმძღვანელები, თითონ კი.. თავი ისე მოაქვთ, თითქოს ცამდე მართალნი იყვნენ!

ადერბეიჯანის მთავრობა, „მესვეურებიც“ არ ჩამორჩნენ დაშნაკელებს. ესენიც საზოგადოებრივ აზრს მიმართავენ!

ბაქოში გამოდის რუსულ ენაზე გაზეთი „ადერბეიჯანი“. ამ გაზეთში ჩამოთვლილია ყველა ის უბედურებანი, რომელიც მუსულმანებს მიაყენეს სომხებმა დაშნაკელების მეთაურობით ბაქოში და სხვა ადგილებში.

სხვათა შორის გაზეთი სწერს: „ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ამ პარტიის (დაშნაკციუტუნის) მუქარის. ჩვენმა მთავრობამ უნდა მიიღოს საწინააღმდეგო ზომები როგორც თფილისში, ისე ევროპას სხვა ცენტრებში, ვინაიდან საზოგადოებრივი აზრი განსაზღვრულ როლს ასრულებს პოლიტიკურ პრობლემების გადაჭრის დროს“.

როგორც ხედავთ, საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება იმის გარკვევაში და მსაჯულის როლში, თუ ვინ იყო ბაქოს ქლეტაში დამნაშავე.

ბაქოს ავანტიურის, იქ მომხდარი ქლეტის შესახებ როგორც მარტში, ისე სექტემბერში ჩვენი აზრი მკითხველებმა უწყიან.

„ზნამია ნაროდა“-ს გადმოცემითაც კი (№ 25) „ოსმალეთის ასკერის ხელით მუსავატი ანგარიშებს ასწორებდა სომხის დემოკრატიასთან. ბოლშევიკების დახმარებით და ბოლშევიზმის დროშის ქვეშ დაშნაკცუტიუნი ქლეტდა მუსულმან მასსებს“.

აქ გამოთქმული აზრი სრულ სიმართლეს შეიცავს.

სომხის დაშნაკელები და მუსავატი ამრიგად ერთ დონეზე დგანან, ორივენი ერთა ქლეტას ისახავენ მიზნად, ორივე ნაციონალისტური პოლიტიკის მიმდევარია. ცხადია, ესერები, რომელნიც ინტერნაციონალობას ჩემობენ, ორივეს უნდა ერთნაირათ გმობდენ. ჩვენ ასეც ვიქცევით, როგორც საერთაშორისო სოციალისტურ არმიის ნაწილი. ბ-ნი ესერები და „ზნამია ნაროდა“ კი დაშნაკელების ავანტიურას გვერდში უდგანან და ამით მათ ბოროტების თანაზიარი ხდება. მათი სიტყვა ამიტომ მათ საქმეს არ შეეფერება. ჩვენ კიდევ ვიმეორებთ: ნაციონალისტური პოლიტიკა ღუპავს სომხის და თათრის დემოკრატიას ნაციონალისტების ბატონობა ამ ხალხში საბედისწეროა მათთვის.

ყველა დემოკრატმა, ინტერნაციონალიზმის ყველა ნამდვილმა გულშემატკივარმა უნდა მთელი თავისი ღონე მომართოს ამ ნაციონალისტების წინააღმდეგ. მხოლოდ მათი გავლენის დასუსტებით მოიღობა ბოლო მარტის და სექტემბრის ამბებს ბაქოსა და სხვა ქალაქებშიაც.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

26 ოქტომბერი.

დასავლეთის ფრონტი.

**ბერლინი.** 25 ოქტ. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ფლანდრიაში მდინარე ლისის ხეობით ბრძოლა გრძელდება. მტერი რომელიც შეიჭრა დეინზეს სამხრეთ ნაწილში განვდევნეთ. დეინზეს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ დავიჭირეთ მდინარე ლისს გამოღმა ხიდის სიმაგრეები. ვიე-ვენილუას აღმოსავლეთით, შელდასა და ლისის შუა, ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიშები. ნკრევა განადგურება შელდის სანაპირო დაბა ქალაქებისა მტრის მიერ გრძელდება. ინგლისელებმა ზარბაზნები დაუშინეს აგრეთვე ქალაქ ტურნეს. ხალხი ამ ადგილებიდან ჩრდილოეთით გამორბის. ვოლენისა და ლეკატოს აღმოსავლეთით ინგლისელებმა იერიში განაახლეს და დაიჭირეს სივრცე შელდამდე, ხოლო შელდის სამხრეთით ჩვენი სანგრების წინ ეკეიონბახის მაღლობებში დამარცხებულ იქმნენ. ლეკესნუას მხრით მომართული იერიშებით მტერმა მოახწია რკინის გზამდე ლეკესნუას ჩრდილო დასავლეთით და დასავლეთის მხრივ მტრის ცდა, გაჭრილიყო ლე კესნუას ჩრდილოეთით ჩვენ ჩავშალეთ. მორვალის ტყის პირად მებრძოლმა მტრის ჯარმა შესძლო შემოჭრა პუა დიუ ნორსა და ფონტენ ა ბუაში. გარდა ამ პუნქტებისა მტერი შეჩერებულ იქნა ენგლეფონტენ ლანდრესის დასავლეთით. გუშინწინდელი ბრძოლის დროს მტერმა წამოიწია 800—1000 მეტრით წინ. დიდ შედეგს, მიუხედავათ გაფთრებული იერიშებისა, მტერმა ვერც გუშინ მიაღწია.

გერმანიის კრონპრინცის არმია. მდინარე უაზაზე, სერზე და ენის დასავლეთით დრო გამოშვებითი საარტილერიო ბრძოლაა. უაზაზე დამარცხებულ იქნა მტრის მცირე იერიშები. მდ. უაზასა და ნურეს შუა მოგერიებულ იქნა ფრანგთა ძლიერი იერიშები. მტერი, რომელიც შემოიჭრა ჩვენს სანგრებში, კონტრ-იერიშით უკუგდებულ იქმნა. ვუზიეს ორივე მხრით განელდა შესტრის ... მოსავლეთით მდებარე მაღლობი, მიუხედავათ მტრის იერიშებისა, ჩვენ შევინარჩუნეთ.

გალვიცის არმია. ამერიკელთა მცირე იერიშები, მასის ორივე ნაპირით, მოგერებულ იქმნა.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. მორავის ორივე მხარეზე მტერს იერიშები მოაქვს. მდინარის დასავლეთით მტერმა უკან დაგვახევია კრაგუევაცის მთის სამხრეთით. მდინარის აღმოსავლეთით პერსინის მხარეს კი მტერს ჩვენ დავახევინეთ.

**ბერლინი.** 25 ოქტ. საღამოს სამხედრო ცნობა. ფლანდრიაში ლისსა და შელდის შუა მტრის იერიშები მოვიგერიეთ. შელდისა და უაზის შუა ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. 50 კილომ. ფრონტზე უაზიდან მდ. ენამდე უაზისა და სერის დასავლეთით მტერს ძლიერმა იერიშმა უნაყოფოთ ჩაუარა. მდ. ენის აღმოსავლეთით და მაასის ორივე მხარეზე უმნიშვნელო ბრძოლაა.

პალესტინის და მესოპოტამიის ფრონტები.

**სტამბოლი.** 25 ოქტ. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. ჩვენმა ჯარმა ალეპოს სამხრეთით უკუაქცია მოახლოვებული მტრის მზვერავი რაზმი.

მესოპოტამიის ფრონტი. ტიგრისა და კერკუკის ფრონტებზე მტერს არც ერთხელ ისე არ გაუმარჯვნია, რომ აღსანიშნავი ყოფილიყო. დანარჩენ ფრონტზე ახალი არაფერია.

ბოლშევიკების ცნობები.

**მოსკოვი.** 25 ოქტ. ც. აღმ. კომ. ბიუროს ბიულეტენი. ბერლინი, 23 ოქტ. პოლონელებმა წარუდგინეს რეიხსტაგს მოთხოვნილება: გაანთავისუფლონ აღმოსავლეთ ოლქების მცხოვრებნი და მისცენ მათ სამშობლოში დაბრუნების საშუალება. მთავრობის სოციალისტებმა ბოლშევიზმთან ბრძოლა თავის კრებებში გადაიტანეს. დორტმუნდში შემდეგი მიიღეს: „გარეშე საშიშროებას ემატება მუქარა მარჯვნით და მარცხნით. ბოლშევიზმი ცდილობს მოიგოს ხალხის გული. აუცილებელია სოც.-დემოკრატიის ზურგის გამაგრება. ვილსონის ნოტის შემდეგ ბირჟაზე სიწყნარეა. კურსის აწევის ცდა არ მოხერხდა. უნგრეთმა შეწყვიტა ავსტრიაში პურის გზავნა, რადგან გერმანიიდან და ავსტრიიდან სამაგიეროს ნავთს, ბენზინს და ნახშირს აღარ აძლევენ. ბერნი, 23 ოქტომ. ინგლისისა და საფრანგეთის პრესა არ თანაუგრძნობს გერმანიის უკანასკნელ პასუხს ვილსონის ნოტაზე. მოკავშირეები დარწმუნებული არიან, რომ ყოველივე მოლაპარაკება გერმანიასთან ზავის შესახებ უნაყოფოდ ჩაივლის, სანამ იგი არ დამარცხდება და იარაღს არ დაყრის. პარიზის ნაციონალისტური პრესა დაჟინებით ადგილებიდან გერმანიის ჯარის გაყვანას და ნეიტრალურ საგამომძიებლო კომისიის დანიშვნის წინადადებას შეუძლებლათ სცნობს. მიუღებელია აგრეთვე გერმანიის რეფორმებზე მითითება. კოპენჰაგენი. „სოციალ-დემოკრატი“ სწერს: თუ გერმანიის ნოტამ, რომელიც ვილსონის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, შეთანხმებამდე არ მიგვიყვანა, მაშინ ცხადი იქნება, რომ მოკავშირეებს არ სურთ ზავი. შეთანხმების სახელმწიფოთა მიზანია განდევნონ გერმანია საქვეყნო ბაზრიდან, თავის ინტერესების სასარგებლოთ. კიევი. „ნოვაია ტვდა“ მ გამოაქვეყნა უკრაინის პურის მომყვანთა შემორჩენდუში: უკრაინა არის დამოუკიდებელი სახელმწიფო პარლამენტარულ-დემოკრატიული წესწყობილებით. სამეფოს სათავეში გეტმანი უდგას. სეიმის მოწვევამდე ძალა-უფლება გეტმანის ხელშია. სახელმწიფო ენა—უკრაინული. ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე. უკრაინის სახელმწიფოს დასაცავად უნდა შესდგეს ნაციონალური ჯარი. კერძო საკუთრება ხელუხლებელია.

კანცლერის სიტყვა ზავის შესახებ.

**ბერლინი.** 23 ოქტ. სამშაბათს, 22 ოქტ. გერმანიის კანცლერმა რეიხსტაგში შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: ბატონებო, მას შემდეგ, რაც მე თქვენთან პირველად ვილაპარაკე, უკვე გადავდგით შემდეგი ნაბიჯები სამშვიდობო მოლაპარაკების საქმეში, თანახმად გერმანიის ახალი მთავრობის განმარტებებისა. პირველათ პრეზიდენტ ვილსონის კითხვები მოგვივიდა. ჩვენმა არა ორჭოფულმა და ნამდვილმა პასუხმა გამოიწვია ვილსონის ახალი კითხვები. ჩვენი პასუხი ამ შეკითხვაზე გუშინ გამოქვეყნდა. ბატონებო, გერმანიის ხალხს სურს მოისმინოს, თუ როგორი პერსპექტივები აქვს მთავრობას ზავის შესახებ. თქვენ გესმით, რომ მე შემიძლია შევეხო ამ საკითხს, მხოლოდ დიდი სიფრთხილით. ყველა პარტიას სურს ერთნაირად იკამათოს ამ საკითხზე იმ სიფრთხილით, რომელსაც მოითხოვს მომენტის სერიოზულობა. აქ თვით გერმანიის ხალხი მიმართავს პრეზიდენტ ვილსონს და ამიტომაც დიდი ღირებულება აქვს აქ წარმოდგენილ პარტიათა შეხედულებას. პირველმა პასუხმა, რომელიც გერმანიის საზავო წინადადებაზე პრეზიდენტმა ვილსონმა მოგვცა, ყველა ქვეყნებში დიდი კამათი გამოიწვია, თუ როგორი უნდა იქნეს ზავი: დამყარებული უფლებებზე თუ ძალაზე. ამის გარშემო ბევრს კამათობენ შეთანხმების სახელმწიფოები და ეს აუცილებელი იყო ჩვენ შიაც. ერთის მხრით, ხმამაღლა ლაპარაკობენ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ მოახლოვებულია მომენტი, შურისძიებისა და გერმანიის დამცირებისა და მეორეს მხრივ ცოცხალია ის პარტია, რომელიც ემყარება ერთა კავშირის პრინციპს, რაც მტკიცდება იმ ფაქტით, რომ ამ ახალ სიმბოლოს სარწმუნოებას ყოველის მხრით თავს იხრიან. ვიდრე რომელიმე სახელმწიფო, ან ჯგუფი სახელმწიფოთა გადასდგამს ნაბიჯს სხვა ერის საწინააღმდეგოთ, რისთვისაც ის დაემყარება უხეშს ძალას, უნდა მიღებულ იქნას ნამდვილი და გადამწყვეტი ზომა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ხელშეკრულობამდე შეთანხმების გზით და ამით მივაღწიოთ ზავს დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის დროს. პრეზიდენტ ვილსონის ნოტას მდგომარეობა სრულიადაც არ გამოურკვევია, შესაძლოა პრეზიდენტის უკანასკნელმა პასუხმა შესძლოს ეს. იმ დრომდე კი, ბატონებო, ჩვენ გონივრულად მოქცევა გვმართებდა ყოველგვარ პირობებში მზათ შევხვდეთ მოსალოდნელ ალტერნატივას. ჩვენს მოწინააღმდეგეთ სურთ განაგრძონ ომი. ჩვენ მეტი რა გვრჩება, რომ მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე და თავი დავიცვათ. თუ ეს ჩვენთვის აუცილებელი შეიქნა, მაშინ გერმანიის მთავრობას გერმანიის ხალხის სახელით შეუძლია ილაპარაკოს ერის დაცვაზე, ისე როგორც უფლება ჰქონდა გერმანიის ხალხის სახელით ილაპარაკა, როცა სამშვიდობო ნაბიჯებს სდგამდა. აღმსარებელი პრინციპისა: „ზავი უფლებაზე დამყარებული“ დროებით თავის თავზე კისრულობს მოვალეობას, არ მიიღოს წინააღმდეგობის გაუწევლათ ძალაზე დამყარებული ზავი. მთავრობა, რომელიც არ უფრთხილდება ასეთ მდგომარეობას, გერმანიის ერის მეომართა და მუშათა ზიზღს დაიმსახურებს და საზოგადოებრივმა აღშფოთებამ შესაძლოა მიწის პირიდან აღგავოს. მაგრამ, ბატონებო, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს არც მეორე დებულება თავისი მოსალოდნელი შედეგებით. გერმანიის ხალხს არ შეუძლია თვალახვეული წავიდეს კონფერენციაზე. გერმანიის ერს უფლება აქვს იკითხოს: თუ ზავი იქნა მიღებული ვილსონის პირობათა საფუძველზე, რას მოუტანს იგი გერმანიის ნაციონალურ აწმყოს და მომავალს. თუ გავითვალისწინებთ საზოგადოებრივ აზრს, გერმანიის ხალხი უფრო ფხიზლად ეპყრობა გადადგმულ ნაბიჯებს ვილსონის შეკითხვაზე გერმანიის მიერ პასუხის გაცემის შემდეგ. ღირს იგი ყველაფრის გაშუქება-განმარტებას მოითხოვს. დიახ, ბატონებო, ეს ჩვენთვის ისეთი გადაწყვეტილება იყო, რომელმაც დიდი შედეგი მოიტანა. ჩვენი პოზიციის სიძლიერე იმისგან კი აღარაა დამოკიდებული, თუ რა მიგვაჩნია ჩვენ სამართლიანად, არამედ დამოკიდებულია ჩვენ კამათზე მოწინააღმდეგებთან, რომელნიც აღიარებულ იქნებიან სამართლიანათ. ეს კი დიდ თავგანწირულებას მოითხოვს გამარჯვებებს ჩვეულ და ამაყ ერისაგან. საკითხი, თუ რა არის უფლება, არ გადაწყდება ჩვენს საბჭოებთან, რომელსაც ჩვენ არავითარი ძალის წინაშე არ გავხსნით. პუნქტები, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ეხება აგრეთვე ჩვენს შინაურ ცხოვრებას. ბატონებო, მე მიპასუხეს, რომ ვილსონის პირობათა მიღება მოასწავებდა გერმანიის მორჩილებას მტრის ტრიბუნალის წინაშე, რომელიც გადაწყვეტდა უფლების საკითხს თავისი ინტერესების თანახმად. ეს რომ ასე იყოს, მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა უკიდურეს ნაც.-ეგოისტებს ისე ეშინიათ კონფერენციის, როგორც დამნაშავეს სასამართლოსი. ვილსონის პროგრამის მთავარი პრინციპია „ხალხთა ლიგის“ პრინციპი. ეს არ განხორციელდება, თუ ლიგის ყველა მონაწილე ერმა მსხვერპლი არ გაიღო. უფლებათა ერთობა მოითხოვს, როგორც ჩვენგან, ისე ყველასაგან, სრული დამოუკიდებლობის შეკვეცას ამას ჩვენი მომავლისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება. ეს იქნება ის საფუძველი, რომლითაც ჩვენ, როგორც მთლიანი ნაცია, განვითარების გზას დავადგებით. თუ ჩვენთა აზრთა მიმართულება არ შეიცვალა, ჩვენ ვერ მოვიცილებთ ნაციონალურ ეგოიზმის პრინციპს, რომელიც დიდი ხანი არაა რაც ერის მთავარ პრინციპს შეადგენდა. უამისოდ, ბატონებო, ჩვენი ცხოვრების გამომთელება და აღორძინება არ მოხდება. დარჩება მხოლოდ უკმაყოფილების გრძნობა, რომელიც ჩვენს შთამომავლობას დიდი ხნით მოუსპობს შემოქმედებითი უნარს.

(გაგრძელება იქნება).

# საქართველოს პარლამენტი

25 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი.

დღის წესრიგში პირველ საკითხად დასმულია სამანდატო კომისიის მოხსენება.

**ალ. ლომთათიძე** მოითხოვს, რომ თანახმად წინა სხდომაზე მიღებულ დადგენილებისა, პირველ საკითხად დაისვას კანონ-პროექტი შავი ზღვის რკინის გზის დამთავრების შესახებ, მეორეთ დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება, ხოლო მესამეთ სამანდატო კომისიის მოხსენება.

პარლამენტმა ეს წინადადება მიიღო.

დღის წესრიგში დასმულია აგრეთვე პარლამენტის წევრთა თარხანოვის და თუმანოვის მთავრობისადმი შეკითხვა ტუსაღების მიერ შიმშილობის გამოცხადების შესახებ.

**თარხანოვი.** (ს.-რ. სომეხთა წარმ.) მოითხოვს, რომ ეს შეკითხვა პირველად იქნას გარჩეული, რადგანაც საკითხი საჩქაროა და შიმშილის გამოცხადებას შედეგათ მოყვა რამდენიმე ტუსაღის ავად გახდომა.

**კ. ნინიძე.** ჩვენი ფრაქცია ამ წინადადების წინააღმდეგია. ის დებულება, რომელიც აქ მ. თარხანოვმა წამოაყენა საკითხის სისწრაფის შესახებ, საკმარისი არ არის. სულ სხვა საქმეა, რომ მთავრობა მათ საჭმელს არ აძლევდეს, ან უვარგის რამეს აძლევდეს. თუ არ სჭამენ, ეს მათი საქმეა. ხოლო თუ რაიმე საბუთი აქვთ, ეს შეუძლიან კანონიერი გზით ეძიონ და მთავრობაც შესაფერ ზომებს მიიღებს. ჩვენი ფრაქციის აზრით განსაკუთრებული სისწრაფე ამ შემთხვევაში საჭირო არ არის, მით უმეტეს დღეს ჩვენ გვაქვს უკვე გასარჩევი ორი დიდი საკითხი.

პარლამენტმა თარხანოვის წინადადება უარჰყო.

კანონ-პროექტი შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრების შესახებ.

**მომხს. ი. გობეჩია** (ს. რ.) შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის ისტორია მოკლეთ ასეთია: გზა უნდა გაყვანილიყო ახალ სენაკიდან ტუაფსემდე—329 ვერ. ეს გზა იყო გაცემული კერძო კონცესიით. მუშაობა უნდა დაწყებულიყო 1914 წელს დამთავრებულიყო 1917 წელს ძველი რუსეთი ამ გზას დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას აძლევდა და ამიტომ დიდი თანხაც დახარჯა. დაარსდა რკინის გზის ადმინისტრაციის გამგეობა. როცა რუსეთის დიდმა რევოლუციამ იფეთქა, ეს გამგეობა გადაყენებულ იქნა და დაარსდა რკინის გზის კომიტეტი. მუშაობა შეფერხდა. გზათა სამინისტრომ მოინდომა მოეხდინა ლიკვიდაცია იმ ძველი მუშებისა, რომელნიც გარეშე ადგილებიდან იყვნენ მოსულნი და განეგრძო რკინის გზაზე მუშაობა მთავრობამ გზათა სამინისტროს განკარგულებაში გადასდო 1 მილ. მანეთი ლიკვიდაციის მოსახდენათ. უწყებამ ლიკვიდაციის საკითხი მოაგვარა, ხოლო დამთავრების შესახებ ჯერ-ჯერობით საკითხი არ გადამწყდარა. წარმოდგენილი კანონპროექტი სწორედ შეეხება რკინის გზის დამთავრებას. შავი ზღვის რკინის გზას აქვს დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა: ეს გზა ჩვენ დაგვაახლოვებს აფხაზეთთან, შემდეგ ოჩემჩირის ახლოს არის მაღაროები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ქვა ნახშირის მხრით. აგრეთვე იმ მუშა მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზის შტატების შემცირების გამო, შესაძლებელია სამუშაო უშოვნოთ. არის ერთი საკითხი, რომლის გადაჭრა კომისიამ ვერ შესძლო, ეს—გზამ გაიაროს თუ არა ქალ. ზუგდიდში. ამის შესახებ ჩვენ საკმაო მასალა არ მოგვეპოვებოდა და ამიტომ გადავსწყვიტეთ ამ საკითხის შესასწავლად დაარსებულ იქნას ტეხნიკური კომისია, რომელიც ადგილობრივად შეკრებს მასალებს, შეისწავლის პირობებს და შემდეგ ეს საკითხი ადვილათ მოგვარდება.

**ს. დადიანი** (ს. ფ.) აღნიშნავს, რომ იყო ერთი ვარიანტი, რომლის თანახ მათ რკინის გზა უნდა გასულიყო ჯავარში, ჯვალში, შემდეგ სენაკის მაზრის ზემო ნაწილებში და შეერთებოდა ქუთაისს, მაგრამ სამწუხაროთ ძველი მთავრობის მიერ ეს ვარიანტი უარყოფილ იქნა. მიღებულ იქნა ძველი მთავრობის მიერ სტრატეგიული მიზნებით ის მიმართულება, რომლითაც დღეს კეთდება რკინის გზა. უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი ვარიანტით ქ. ზუგდიდი დატოვებულია და რკინის გზამ უნდა გაიაროს ზუგდიდიდან 5 ვერსის სიშორეზე. ეს გარემოება გამოიწვია იმან, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიურათ იმ ადგილს, რომელზედაც გზა გაივლიდა. აქ წამოყო თავი მეგრელ სკის ინტერესებმა და ის იყო ძველი მთავრობამ გადასწყვიტა ზუგდიდიდან 4—5 ვერსის მანძილზე გაეყვანა რკინის გზა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ გარემოებით უკმაყოფილოა არა თუ მთელი ზუგდიდის მაზრის მცხოვრებნი, არამედ —სვანეთიც. ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რკინის გზას ქალაქისათვის, ის ქალაქები, რომლებიც რკინის გზამ შორს დატოვა, მაგ. ძველი სენაკი, ჩაკვდენ. ქუთაისიც დახტოვა რკინის გზამ და მისი საქმე წინ ვერ მიდის. ამიტომ ჩვენი ფრაქცია მოითხოვს, რომ პარლამენტმა დღესვე გამოსთქვას თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ და დაადგინოს, რათა რკინის გზამ ზუგდიდში გაიაროს.

გზათა მინისტრის პასუხი.

**ივ. ლორთქიფანიძე** მე არ შევჩერდები იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ რკინის გზას, ამაზე საკმაოდ ილაპარაკა მომხსენებელმა, მე მხოლოდ ორიოდე სიტყვას ვიტყვი დადიანის გამოსვლის შესახებ. საქმე არც ისეა, როგორც დადიანს ჰგონია. ჯერ-ჯერობით გამოკვლეული არ არის საქმე, ჩვენ ხელთ არ გვაქვს საკმარისი მასალები და ამიტომ პარლამენტს არ შეუძლია საკითხის ავანსათ გადაწყვეტა. რაც მასალები იყო ამ საკითხის შესახებ, ის მელიქ ასლანოვს ჰქონდა კომისარიატის დროს და ჩვენ ვეძიეთ მასალები, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. შემდეგ შესოფა თათიბირი, სადაც ... რესად მონაწილეობა ... ნიშნეს ზუგდიდში გზის გაყვანის ... რატესობა, მაგრამ თან დასძინეს, რომ ეს უკვე დაგვიანებულია და ბევრ ხარჯებს მოითხოვსო. თვით გზათა სამინისტროც დაინტერესებულია ამ საკითხით. მზათ არის ზედმეტი დამატებითი ხარჯებიც კი გაიღოს ნახევარ მილიონამდე. საქმეს ისიც აბრკოლებს, რომ ზუგდიდის და სოხუმის შუა არის მდინარეები, როგორიცაა: -ოღორი, ენგური, რომლებზედაც ხიდები უკვე გაკეთებულია იმ მიმართულების მიხედვით, რომლითაც განზრახული იყო რკინის გზის გაყვანა. ყველა ამ საკითხებს გამოარკვევს განსაკუთრებული ტეხნიკური კომისია და თუ შესაძლებელი შეიქნა, უეჭველად ყოველ ღონეს იხმარს, რომ რკინის გზამ ზუგდიდში გაიაროს.

აკ. ს—უა.

(დასასრული იქნება).

# ახალი ამბები

კვირას, 27 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება.

— ს. დ. მ. პ. საოლქო ყრილობა, რომელიც უნდა გახსნილიყო 3 ნოემბერს, პროვინციის ორგანიზაციების შუამდგომლობით, გადაიდვა 10 ნოემბრისთვის.

— **მობილიზაცია სომხეთში.** სომხეთში გამოცხადდა მობილიზაცია 20—25 წლამდე. ჯარში გაწვეულნი არიან სომხეთის გარედ მცხოვრები სომხებიც.

— **ქ. ფოცხვერაშვილის სამხედრო კონცერტი.** დღეს, 27 ოქტომბერს სახელმწიფო თეატრში, დილის 13 საათზე გაიმართება ქართულ გერმანული შეერთებული ორკესტრების კონცერტი. კონცერტის წინ ფოცხვერაშვილი გამოაქვეყნებს დავით აღმაშენებლის, თამარის და ირაკლი მეორის დროის იმბიკოებს, მუნასიპებს და ქებადებს (ჰიმნებს).

— **დაშნაკელების დატუსაღება.** გაზეთი „ორიზონის“ ცნობით, ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ ადგილებში, სადაც ბოლშევიკები ბატონობენ, უკანასკნელებს დაუტუსაღებიათ დაშნაკცაკანები.

— **ჯარში გაწვევის გამო.** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რათა სამხედრო უფროსებმა სასტიკი ყურადღება მიაქციონ ახლად გაწვეულთა შემოწმებას და იხელმძღვანელონ იმ დადგენილებით, რომ ჯანსაღობითა და მხედველობით სუსტი ჯარისკაცებიც გაწვეულ უნდა იქნენ ჯარში სამუშაოს ასასრულებლათ, რაც მათ ძალღონესა და უნარს შეეფერება.

— **პასუხისგებაში მიცემა.** 23 ოქტომბერს აბრამოვიჩისა და ამხანაგობის მაკარონის ფაბრიკის დათვალიერების დროს, შრომის კომისარმა აღმოაჩინა შრომის კანონების დარღვევა. ამის გამო შრომის კომისარმა ოქმი შეადგინა და ქარხნის პატრონი პასუხისგებაში მისცა.

— **ცრუ ხმების გავრცელება.** განსაკუთრებულმა რაზმმა დაატუსაღა საღამოს დეპეშების „ნოვოე სლოვოს“ რედაქტორ-გამომცემელი მ. აკოფოვი, ცრუ ხმების გავრცელებისათვის.

— **სამასწავლებლო ინსტიტუტი** ორი საფეხურისაგან შესდგება: 1) პირველი სამ წლიანია, აძლევს დასრულებულ საშუალო განათლებას და მეორე საფეხურისათვის სპეციალურ მომზადებას. მიიღებიან უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ან საშუალო სკოლის ოთხი კლასის კურს დამთავრებულნი. 2) მეორე საფეხური ორ კლასიანია; იძლევა სპეციალურ პედაგოგიურ განათლებას და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის წოდებას. მიიღებიან საშუალო სკოლის ან საოსტატო სემინარიის კურს დამთავრებულნი. თავისუფალია ოცი სტიპენდია. თხოვნები მიიღება: დიდი მთავრის ქუჩა, 91—ინსტიტუტი.

— **მშობლიური წრე** ოსურ სამოქალაქო სკოლისა სთხოვს თფილისში მცხოვრებ ოსებს მობრძანდნენ კვირას, 27 ოქტომბერს, დილის 10 საათზე დემოკრატიულ კლუბში (მუშტაიდში) სკოლის საქმეზე მოსალაპარაკებლად.

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ი. გრიშაშვილის წიგნი „საიათნავა. წიგნი ლამაზათ და სუფთად არის გამოცემული. შეიცავს 136 გვერდს და ღირს 15 მანეთი.

კრებები.

— კვირას, 27 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, მეოთხე რაიონის კოლექტივის ბიუროს ბინაში დანიშნულია წარსულ კრების გაგრძელება.

— დღეს, 27 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, დანიშნულია ქალაქის საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხდომა.

— ორშაბათს, 28 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე სასახლეში სასოფლო კომისიის ოთახში, № 38, დანიშნულია სასოფლო კომისიის წევრთა კრება.

— დღეს, დილის 10 საათზე, მუშათა კლუბის შენობაში (მიხეილის ქუჩა № 65) დანიშნულია შოფერთა პროფესიონალურ საბჭოს წევრთა კრება.

## საქართველო-სომხეთის დამოკიდებულება

**ქართველ სომეხთა დემოკრატიის აზრი.**

სოც.-დემ. საოლქო კომიტეტმა შემდეგი დეპეშა მიიღო სოციალდემოკრატიულ ერევნის და სომხეთის კომიტეტებიდან: „ვილებთ რა მხედველობაში, რომ გადამიჯნის გადაჭრა იარაღის საშუალებით არის საშინელი დანაშაული სომეხ და ქართველ ერისთვის, რომ ომის ატეხა არის გამოუსწორებელი ლახვრის ჩაცემა, ისედაც მოქანცულ ამიერკავკასიის დემოკრატიულ მასისთვის, ამისთვის სოციალდემოკრატიული ფრაქციების საბჭოები სომხეთის და ერევნის ორგანიზაციებისა გთხოვენ თქვენ მხარი დაუჭიროთ და მიიღოთ ყოველივე ზომა, რომ არ მოხდეს შეტაკება ორ დემოკრატიულ რესპუბლიკის ჯარებს შორის. ბორჩალოს—სანაინის რაიონებში ჩვენი მხრით მივიღებთ ყოველივე ზომებს, რომ კონფლიქტი მშვიდობიანის გზით მოგვარდეს, დემოკრატიულ საფუძველზე“.

სოც. დემ. საოლქო კომიტეტმა შემდეგი პასუხი გაუგზავნა: „თქვენი წინადადება ჩვენი სურვილების გამომხატველია. კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება სურს ჩვენს პარტიას, მთელ დემოკრატიას და მთავრობას. გთხოვთ თქვენ მიიღოთ ყოველივე ზომები, რომ თქვენმა მთავრობამ არ გადადგას არავითარი აგრესიული ნაბიჯები. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სამედიატორო სასამართლომ გადასწყვიტოს საკონფლიქტო კითხვები შეიარაღებულ ძალის დაუხმარებლად. იმედი გვაქვს, რომ თქვენც ამ აზრის ადგინართ“.

**პარლამენტის ს.-დ. ფრაქციაში.**

25 ოქტომბრის სხდომაზე ფრაქციამ მოისმინა მთავრობის წარმომადგენლის მოხსენება შექმნილ მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგ გვარდიის წარმომადგენელთან ერთად მსჯელობა იქონია და მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები მოიწონა.

გამოირკვა, რომ სომხის ჯარი დაეცა საქართველოს საზღვრებს. მთავრობას ენერგიული პროტესტი განუცხადებია და მოუთხოვია დაჭერილი ადგილების დაცლა. სომხის ჯარს ეს მოთხოვნილება რამდენიმეთ შეუსრულებია, მაგრამ ის გაუთავისუფლებია ჩვენი ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც ოსმალებს ეჭირათ. ამ საქმის თაობაზე გამართულა დიპლომატიური მიწერ-მოწერა. სომხებს სურვილი გამოუთქვამთ საქმის მშვიდობიან დამთავრებაზე, მაგრამ 25-ს დილით სომხის ჯარს ჩვენი ჯარისთვის სროლა აუტეხია. ჩვენი ჯარი მტკიცეთ იცავს მთავრობის ბრძანებას და მოქმედებას არ იწყებს, მაგრამ მასაც მოთმინება ეკარგება, რადგან სომხის ჯარი დიდს თავხედობას იჩენს. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ საომარი მოქმედება არ დაიწყოს. ამიტომ მას მიუმართავს ზოგიერთ სხვა ზომებისთვის: უცნობებია სომხეთის მთავრობისათვის, რომ ის საქართველოს ტერიტორიის ნაწილად თვლის მთელს ტფილისის გუბერნიას და თანახმაა დავის გარჩევა გადეცეს სამედიატორო სასამართლოს. მანამდე კი შეუწყვეტია სომხის მთავრობისათვის ბონების მიცემა.

## ციმბირში

**იტალიის ჯარები ციმბირში.**

გერმანიის პრეს ბიურო იტყობინება: იტალიის წარმომადგენელი ციმბირში აცხადებს, რომ იტალიამ ციმბირში გაგზავნა 2 ბატალიონი, რომლებიც მზათ არიან მოკავშირეებთან ერთად დაიცვან ჩეხო-სლოვაკები. იტალიის მთავრობამ განაცხადა, რომ ის არ ჩაერევა რუსეთის შინაურ საქმეებში, რომ ის პატივს სცემს რუსეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობას, როგორც ეხლა, ისე მომავალში.

**იაპონიის ჯარები ჩიტაში და კრასნოიარსკში.**

ჩიტაში მოვიდნენ იაპონიის ქვეითა საზღვაო ჯარების რაზმები. კრასნოიარსკში მოვიდნენ იაპონიის ოფიცრები იაპონიის ჯარებისთვის ბინების გამოსანახად.

**მდ. ლენის რაიონის ბოლშევიკებისაგან განთავისუფლება.**

მთელი ლენის რაიონი განთავისუფლებულია ბოლშევიკებისაგან. მათ წინააღმდეგ სასტიკ ზომებს იღებენ. იყო შემთხვევები, რომ ისინი ცოცხლადვე ჩაფლეს მიწაში.

**ჩეხო-სლოვაკების ჯარების უფროსი.**

საფრანგეთის მთავრობის და ჩეხების ნაციონალური საბჭოს შუა მოლაპარაკების შემდეგ, ჩეხო-სლოვაკების ჯარების უფროსად საფრანგეთის გენერალი ჟანენი დაინიშნა.

## ფინეთში

**მეფის არჩევის წინ.**

გლეხთა პარტიამ („აგრარიები“) დაადგინა მეფის არჩევაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს. ფინეთის მთავრობა კი თავის შეხედულობას არ სცვლის. მეფის არჩევაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ შვედომანები, ძველი ფინები და ახალ ფინების უმრავლესობა, ამ უკანასკნელთა მცირე ნაწილი მოითხოვს რესპუბლიკანურ წესწყობილებას. ახალ ფინების პარტიაში ორ ჯგუფს შუა (რესპუბლიკანური და მონარქისტული მიმართულებანი) მოხდა შეთანხმება: როცა მეფის არჩევა იქნება, შეიტანონ ახალი პროექტი უფრო ლიბერალური კონსტიტუციის გასატარებლად.

**ახალი კონსტიტუცია.**

ფინეთის სეიმის ახლად გახსნილ სესიაში სვინხუვუდმა განაცხადა, რომ საჭიროა ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა, ვიდრე მეფის არჩევა მოხდებოდეს. ეს კანონ პროექტი ბევრში ეთანხმება რესპუბლიკანელთა მოთხოვნებს.

**როგორ აირჩიეს ახალი მეფე?**

დახურული სხდომის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა 9 საათს, ლანდტაგი შეუდგა ახალი მეფის არჩევას „ფეხზე ადგომით“, „აგრარიები“ და სხვა რესპუბლიკანელები ისხდენ. მეფედ არჩეულ იქმნა ფრიდრიხ კარლოს-გესსენელი, 64 ხმით, 41-ს წინააღმდეგ.

## ჩრდილო კავკასიაში

გაზეთების გადმოცემით მდგომარეობა პიატიგორსკის ოლქში ასეთია: ბოლშევიკები გამაგრდენ ქ. პიატიგორსკში. ესენტუკში მოახდინეს ყაზახებმა აჯანყება, მაგრამ რადგანაც მათ საკმაო სასროლი იარაღი არ გააჩნდათ, მალე დამარცხდენ. დაიწყო ქალაქში ჩხრეკვა და დატუსაღება. ესენტუკის საბჭომ გამოსცა თავისი საკუთარი ბონები. ეს ბონები წარმოადგენენ თეთრ ქაღალდს, რომელზედაც გამოხატულია „100 მანეთი“. ქაღალდზე ორ კომისარს უწერია ხელი... ფულს ყველგან იღებენ, რადგანაც არავის სურს წითელ არმიელის ხიშტთან იქონიოს საქმე.

კისლოვოდსკი დაპყრობილია ატამან შკუროს ყაზახების მიერ. ხიდი სადგურ „მინუტკასთან“ აფეთქებულია. მდგომარეობა ბოლშევიკებისა კრიტიკულია მათ ირგვლივ გარს შემოერტყნენ ყაზახები. ქალაქიდან გასვლა აკრძალულია.



## პავლე ნიკ. ვიგორგინი

პავლე დაიბადა 1893 წელს, მამა მისი, მთავარ სახელოსნოს მუშა, ცხრაასი წლებიდანვე ხდება დევნილი, როგორც რევოლიუციონერი, მუშათა მოძრაობის აქტიური მონაწილე; აქედანვე იწყება მთელი ოჯახის წვალება, დევნა და აწიოკება.

პატარა პავლე მოწამე იყო მამის უსამართლო დევნისა პოლიციის და ჟანდარმების მხრით. მამის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, პავლეს სასწავლებელში აძლევენ, მაგრამ უბედურმა ბედმა, მამას კვლავ იჭერენ, პავლეც ყოველივე საშუალებას მოკლებული იძულებული ხდება ლუკმა პური ეძიოს და 14 წლისა ქარხანაში მუშათ შედის. პავლეს მამას, რომელიც ციმბირიდან გამოიქცა, სდევნის პოლიცია. პავლესაც ბევრჯელ აგემეს ნწვავე მათრახები. ის სხვადასხვა ადგილებს იცვლის, სადაც ამხანაგების საერთო სიმპატიას იმსახურებს, ბოლოს ის ტრამვაის დეპოში ბრუნდება ზეინკლათ. 1917 წელს სიხარულით შეეგებენ, აქ ერთი მეორეს ეჯიბრებიან იმაში, თუ რომელი მათგანი უფრო მეტ ენერგიას გამოიჩენს საზოგადო საქმეში. სდგება წითელი გვარდია. პირველათ ისინი ეწერებიან. ხშირი ყოფილა შემთხვევა, როცა ორივე გამგზავრებულან ერთად ფრონტზე. ერთმანეთს ეცილებოდნენ და სამხედროთ მორთულ-მოკაზმულს ამგზავრებდნენ საბრძოლველათ. „არა, მამა, შენ მოხუცი ხარ, იმაშიც მადლობა გვითხარი, თუ ჩვენთან, ახალგაზრდებთან რიგში დაგაყენოთო“, ეხუმრებოდა პავლე მოხუც მამას.

„არა შვილო, შენისთანებს კიდევ ვაჯობებ, მე ძველი ვარ, ძველიო“, ეტყოდა პასუხათ მოხუცი.

და აი, პირველობა რომ დაემტკიცებინა, პავლემ გაასწრო კიდეც...

იმ ოჯახს, რომელიც მაგალითია ჩვენთვის, გამოაკლდა საუკეთესო წევრი. ის შეეწირა იმ დროშას, რომელიც სადგურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბმა ჩააბარა 28 აგვისტოს.

მშვიდობით ამხანაგო, შენი რევოლიუციონური ღვაწლი ჩვენთვის სამაგალითოდ დარჩება.

თედო ხპარტაკი.

## ნაძვნარი

(ლალიონს)

მინახავს სადმი უდაბური,
დიდი ნაძვნარი,—
მწვანე შალებით მონაბური,
მშვიდი და წყნარი.
იმის სიღრმეში, მუნებური
ისმოდა ქნარი,
მძლავრი, ბედითი, ბუნებური,
გამოუცნარი...
და როცა ერთხელ ტევრი მწვანე
თითქოსა სდუმდა,
გაწითლდა უცებ ცის ტატანი.
თუ მზე შებრუნდა:
„მუხლთ მოვიყაროთ, ვსცეთ თაყვანი,
ვილოცოსა უნდა“;
სულთქმა ამოხდა თანდათანი,
ტყე აგუგუნდა...
სჩანს ბედისწერა წინაგრძნობამ
იქ შეაწუხა,
რომ მწვანე გულში თითქოს ზეცამ
გამოიქუხა—
და! დიდ' ნაძვნარში ძირს დაეცა
დ ადი მუხა!..
შეკრთა მიდამო და შიშველი
გამოჩნდა ველი,
დაკიდებული, უსაშველი,
როგორც ნაღველი...
ნაძვნარის გულში ჩ წვა მუხა
ხმა ახოვანი,
ნების სიმტკიცე ჯიქ ჯავშანი,
სიბრძნე მცხოვანი—
მან გაიარა, გაჰკვეთა გზა
„ვიწრო კლდოვანი“
და მისგან იქმნეს საუკუნე
სახელოვანი...

ვ. ტუხიშვილი.

## იუსტიციის სამინისტროში

**მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის გარდაქმნა.** იუსტიციის სამინისტროს შეკითხვაზე, სად განხორციელდა საერობო რეფორმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიღებულია პასუხი, რომ სამაზრო-საერობო გამგეობანი უკვე შემდგარა სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის და შორაპნის მაზრებში.

ამისდა კვალად, ხსენებულ ერობათ გაეგზავნათ მიწერილობა, რომ დაუყოვნებლივ აირჩიონ მომრიგებელი და საპატიო მოსამართლენი ახალ კანონის თანახმად.

**აღერბეიჯანის მთავრობისთვის საქმეების გადაცემა.** თანახმად იუსტიციის მინისტრის განკარგულებისა, თბილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ გადასცა სათანადო აქტის შედგენით აღერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენელს აბას-ალიბეგ მაკინსკის თბილისის სასამართლო პალატაში წარმოდგენილი და ღლემდე დაუსრულებელი საქმეები, რომლებიც შემოსული იყო პალატაში ბაქოს და განჯის საოლქო სასამართლოებიდან.

**საგანგებო გამგეობა.** თბილისის ოლქის სასამართლოს წევრმა ი. კობიაშვილმა, რომელსაც საგანგებოდ დავალებული ჰქონდა ბელოკლიუჩის რაიონში და სოხუმის ოლქში მომხდარ ამბების გამოძიება, წარმოუდგინა იუსტიციის მინისტრს მოხსენება აღნიშნულ ამბების შესახებ.

**ქართული ენის კურსები.** თფილისის ოლქის სასამართლოს ახლად დანიშნულ ბრალმდებლის მ. ა. ტატიშვილის თაოსნობით და იუსტიციის მინისტრის შ. გ. ალექსი მესხიშვილის დასტურით არსდება 6 თვიანი კურსები ქართული ენის შესასწავლათ სასამართლო უწყების მოხელეთათვის.

**თათბირი საქართველოს სენატის დაარსების შესახებ.** იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდა მინისტრის ამხანაგის გ. ი. გველესიანის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია საქართველოს სენატის დებულების შესამუშავებლათ.

კომისიამ უკვე დაასრულა პრინციპიალურ დებულებათა განხილვა, რომლებზედაც უნდა აშენდეს საქართველოს უზენაესი სასამართლო დაწესებულება. დაწვრილებითის დებულების შემუშავება გადაეცა ხუთის კაცისაგან შემდგარს მცირე კომისიას, რომელმაც თავისის მხრივ კვლავ დაასრულა მუშაობა და შემუშავებული პროექტი სენატის დებულებისა უკვე გადასცა კომისიის თავმჯდომარეს. ამ დღეებში მოწვეული იქნება კომისიის პლენუმის სხდომა პროექტის უკანასკნელ რედაქციის განსახილველად, რის შემდეგ სათანადო კანონპროექტი წარედგინება მთავრობას პარლამენტში შესატანათ. კომისიის საქმიანობას სარჩულად ედო, დ. ი. უთნელიშვილის მიერ შემუშავებული პროექტი სენატის დებულებისა.

**სატერმინოლოგიო კომისია.** მინისტრის ამხანაგის გრ. ი. გველესიანისავე თავმჯდომარეობით სწრაფად მუშაობს სამინისტროსთან მეორე კომისიაც, რომელსაც დავალებული აქვს უსაჭიროეს იურიდიულ ტერმინების გამორკვევა, დამუშავება და სასამართლოს მოხელეთათვის დარიგება. კომისია ახლო მომავალში დაასრულებს საქმიანობას. კომისიაში მოწვეულნი არიან ქართული ენის საუკეთესო მცოდნენი.

**საკოდიფიკაციო განყოფილება.** თანახმად საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონისა, იუსტიციის სამინისტროსთან არსდება საკოდიფიკაციო განყოფილება, რომლის მიზანია, სხვათა შორის, კანონთა დამთავრების ზოგადის ხასიათის განკარგულებათა შეგროვება და გამოქვეყნება ოფიციალურ ორგანოში. უკანასკნელი პერიოდიულად გამოვა.

## ომი და ზავი

**კიდევ ბულგარეთის შესახებ.**

გაზეთების გადმოცემით ბულგარეთის ჯარები ისე იყვნენ დაქანცული ომით და ისეთი კრიზისი იყო სურსათის, რომ ბულგარეთი იძულებული იყო შეეკრა ზავი. მალინოვის კაბინეტი რადიკალდემოკრატების პარტიიდან იყო შემდგარი, სადაც შედიოდენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები: ეს საუკეთესო კაბინეტიც არ იყო პოპულიარული, ვიდრე ზავი არ ჩამოვარდა. მოძრაობა დაიწყო ვოლაცეების მიერ გავრცელებულ ლოზუნგის გარშემო—„ომი გათავდება 20 სექტემბერს“! ამ დღეს სანგრები დასტოვა ორმა პოლკმა. ინგლისელ-ფრანგების ჯარებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით, გარღვიეს ფრონტის ხაზი და გაყვეს შუაზე ბულგარები. დასავლეთზე მყოფი ჯარი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. უკან დახევა შეუძლებელი იყო. ტყვეთ ჩავარდა მთელი შემადგენლობა სამხედრო უფროსებისა. აღმოსავლეთის ლაშქარი გაიქცა. ომის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები სოფიაზე წამოვიდენ. ჯარისკაცებს იარაღი აჰყარეს, ისინი თავისუფლათ სხდებოდენ მატარებლებში და სახლში მიემგზავრებოდენ. მხოლოდ ერთმა დივიზიამ მოახდინა აჯანყება. შეიარაღებულნი ვინტოვკებით და ტყვიის მფრქვეველებით მოადგენ სოფიას. ქალაქის მახლობლათ მოხდა შეტაკება მთავრობის, მსროლელთა და აჯანყებულთა შორის. ხალხი არ თანაუგრძნობდა აჯანყებულთ. მთავრობამ გაუგზავნა მათ მოსალაპარაკებლათ სტამბოლინსკი, რომლის მისიამაც მიზანს ვერ მიაღწია. ამ შეტაკების დროს გავრცელდა ქალაქში ხმა, რომ გერმანები და სერბიელები შემოიჭრნენ ბულგარეთის ტერიტორიაზეო. ეს ხმები არ გამოდგა მართალი.

აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ ჩამოვარდა მშვიდობიანობა. პირველ ოქტომბერს მოიწვიეს სახალხო საბჭო. დარბაზი სავსე იყო დიპლომატებით და ჟურნალისტებით. საბჭო გააკვირვა ყველა თავის თავდაჭერით, უკამათოდ. ხელის აწევით გამოუცხადეს ნდობა კაბინეტს. მეორე კრებაზე მიიღეს წინადადება: თავი შეეკავონ და არ გამოაცხადონ საჯაროთ საზავო ხელშეკრულება.

**ვილსონის დამატებითი საზავო მუხლები**

ვილსონის პროგრამაში 14 მუხლის გარდა, რომელიც წინად მან გაუგზავნა კონგრესს და რომელიც გამოსთქვა 1918 წ. 12 თებერვლის სიტყვაში (ესენი ჩვენ მოყვანილი გვქონდა „ერთობაში“) კიდევ მოგვყავს 4 დამატებითი მუხლი ვილსონის სიტყვისა, რომელიც მან 27 სექტემბერს წარმოსთქვა:

1) თანასწორი უფლებანი ყველა ერებს, რომლებიც მონაწილეობას ძიიღებენ ხელშეკრულობაში.

2) საზავო შეთანხმებაში არ უნდა იყვეს რაიმე დადგენილება, რომლის ძალით ამა თუ იმ ერს რაიმე განსაკუთრებული უპირატესობა მიენიჭება.

3) საერთო ოჯახში, რომელიც შედის ხალხთა კავშირში, არ შეიძლება იყოს განსაკუთრებული ხელშეკრულობანი ამ ოჯახის მონაწილეთა შორის.

4) არ შეიძლება რაიმე ეკონომიური ბოიკოტის გამოცხადება ამა თუ იმ ერისადმი, აგრეთვე მიუღებელია ისეთი ეკონომიური კომბინაციები, რომლებიც მიმართული იქნება რომელიმე ერის საზიანოდ.

## შინაგან საქმეთა მინისტრი სიღნ. და თელ. მაზრებში

20 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი გაემგზავრა სიღნაღში. სიღნაღიდან 10—15 ვერსის მოშორებით მას დახვდნენ ადგილობრივი მაზრის კომისარის მეთაურობით სხვადასხვა სოფლის წარმომადგენლები. მინისტრი მიესალმა ხალხს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით და აღნიშნა, რომ იმ დროს, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ანარქია მძვინვარებდა სიღნაღში მშვიდობიანობა იყო და ადგილობრივი მცხოვრებნი დახმარებას უწევდენ მთავრობას ყოველ მის მოქმედებაში მინისტრმა იმედი გამოსთქვა, რომ სიღნაღში მომავალშიაც ერთგული აღმასრულებელი იქნებიან თავისი მთავრობის ნება-სურვილების, რომელიც გამოიხატება საქართველოს დემოკრატიის ინტერესების დაცვაში.

სიღნაღში იმ დღეს ერობის კრება იყო დანიშნული. იქ ერობისა და ქალაქის თვითმართველობის მეთაურობით აუარებელი ხალხი შეკრებილიყო, რომელთაც მინისტრი მიესალმა მთავრობის სახელით და მოხსენებაც გაუკეთა მთავრობის მოღვაწეობის შესახებ. ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა, რომ პირველი ერობის ყრილობის გახსნას ესწრება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი.

სამაზრო ერობის გახსნას მინისტრი მიესალმა მთავრობის სახელით; აღნიშნა მოვალეობა ერობისა, რომელმაც უნდა განამტკიცოს როგორც საქართველოს დემოკრატიული მთავრობა და რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. დასასრულ მინისტრმა ყოველნაირი დახმარების აღმოჩენა აღუთქვა. ყრილობამ მადლობა გადაუხადა მინისტრს, რის შემდეგ ის არჩეულ იქნა სამაზრო ერობის საპატიო თავმჯდომარედ.

მეორე დღეს მინისტრმა ინახულა ქალაქის თვითმართველობის ხმოსანთა წევრები და ესაუბრა მათ სხვადასხვა საჭირბოროტო საქმეების შესახებ.

შემდეგ მინისტრი დაესწრო პარტიულ ორგანიზაციის კრებას, სადაც მოხსენება გააკეთა მომენტის შესახებ, რომლის შემდეგაც გაიმართა საუბარი მომავალ პარტიულ დღის წესრიგზე. ჩამოიარა ყველა დაწესებულებები, როგორც თავისი, ისე სხვა უწყების, დაინტერესდა მოხელეთა მუშაობით და მათი მატერიალური მდგომარეობით. აღუთქვა, რომ მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მოხსენებას გააკეთებს მთავრობაში.

21 ოქტომბერს მინისტრი გაემგზავრა თელავში. ქალაქის განაპირას მას დახვდა ქალაქის მცხოვრებთა წარმომადგენელნი და ადგილობრივ პოლკის უფროსი ოფიცრებით. მეორე დღეს ინახულა ჯარი, მიესალმა მათ მთავრობის სახელით და აღნიშნა, რომ ქართველი ჯარი თავდებია საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების და თითეული მათგანი მოვალეა პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობაო.

შემდეგ მინისტრმა დაათვალიერა ყველა ადგილობრივი დაწესებულებები, ესაუბრა მათ; ერობისა და თვითმართველობის წარმომადგენლებს მოხსენება გაუკეთა მომენტის შესახებ. ადმინისტრაციის მინისტრმა მიუთითა ყურადღება მიაქციოს გადასახადების დროზე შეკრებას და დეზერტირობასთან სასტიკ ბრძოლას.

ყველა დაწესებულებების დათვალიერების შემდეგ მინისტრმა მოხსენება გააკეთა ადგილობრივ პარტიულ ყრილობაზე, სადაც ესაუბრა მათ მომავალ პარტიულ კონფერენციის დღის წესრიგზე.

23 ოქტომბერს მინისტრი თფილისში დაბრუნდა. მას განზრახვა აქვს დაათვალიეროს ყველა მაზრები.

X.

## რუსეთის ცხოვრება

**რუსეთის ახალი მთავრობა, არჩეული უფის სახელმწიფო თათბირზე.**

გაზ. „ვეჩერნ. მოსკვა“, 6 ოქტომბრის თარიღით სწერს: ჯერ კიდევ ივნისში, როდესაც, ციმბირსა და ვოლგას იქით საბჭოთა მთავრობა დამხობილ იქნა, დაიბადა აზრი ჩეხოსლოვაკების ხაზში მყოფ მთავრობებში შეედგინათ სრულიად რუსეთის მთავრობა. გაიმართა მოლაპარაკებაც და შედეგათ ის მოჰყვა, რომ ქ. ჩელიაბინსკში მოწვეულ იქნა კერძო თათბირი, სადაც გადაწყდა შეკრიბათ ქ. უფაში დამფუძნებელ კრების წევრები და გაემართათ თათბირი სხვადასხვა საოლქო მთავრობების ქალაქთა და ერობების წარმომადგენლების თანდასწრებით.

უფას თათბირზე მოვიდა სულ 223 წარმომადგენელი, პარტიულად ისინი ასე განიყოფებოდნენ: უკიდურესი მარჯვენა ფრთა ეკავათ საგაჭრო სამრეწველო კლასის წარმომადგენლებს (20 კაცი), შემდეგ ისხდნენ ეგრედ წოდებული წევრები ნაციონალური ცენტრისა. ეს ფრთა შესდგებოდა ოქტომბრისტებისაგან, კადეტებისა და ზოგიერთი ნაციონალური ჯგუფებისაგან, რომლის პროგრამაში შედიოდა ძლიერი რუსეთის აღდგენა, სადაც უპირატესობა სამხედრო ელემენტს ექნებოდა. ნაციონალურ ცენტრს ჰქონდა დიდი იდეიური გავლენა. რიცხვით უმრავლესობა ეკუთვნოდა „აღორძინების კავშირის“ ჯგუფს, რომლის სათავეში უდგა ავქსენტიევი და არგუნოვი. ეს ჯგუფი ხშირად უთანხმდებოდა ნაციონალურს ცენტრს. ზოგიერთი თათბირის წევრები ორივე ორგანიზაციაში შედიოდა, მაგ. ნ. ი. ასტროვი. მარცხენა ფრთა ეჭირათ დამფუძნებელი კრების სამარის კომიტეტის წევრებს და ესერებს, ჩერნოვის მომხრეებს. კადეტები, როგორც ასეთი, იყვნენ წარმოდგენილი ორი წევრით: ერთი იყო კროლი და მეორე პეპელიაევი. „ედინსტვო“ და სახალხო სოციალისტები „აღორძინების კავშირთან“ იყვნენ ბლოკში. მენშევიკებიც იყვნენ თათბირზე, მაგრამ მათ აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ სრულიად რუსეთის მთავრობის შედგენაში. მთავარი ბრძოლა თათბირზე ჰქონდათ ესერებს და ნაციონალისტურ ცენტრს. ესერები თხოულობდნენ მიწის სოციალიზაციას, მთავრობის პასუხისმგებლობას დამფ. კრების წინაშე და სხვ.

თათბირზე შემარიგებელი როლი ითამაშა „აღორძინების კავშირმა“, რომელმაც შემდეგი კომპრომისი გამოიმუშავა: სრულიად რუსეთის მთავრობა პასუხისმგებელია დამფ. კრების წინაშე, რომელიც შეიკრიბება 1 იანვ.-ს 1919 წ., თუ იქნება ქვორუმი, შემდგარი 270 კაცისაგან. რაც შეეხება მიწას, იგი დროებით რჩება ფაქტიურად მესაკუთრეების ხელში.

რაც შეეხება მთავრობის პერსონალურ შემადგენლობას, გადასწყდა შიგ შევიდნენ „აღორძინების კავშირის“ წარმომადგენლები, ერთი წარმომადგენელი ნაც. ცენტრისა და ერთი ციმბირის წარმომადგენელი. შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლების ზეგავლენით გადასწყდა უმაღლესი სამხედრო უფლება გადაეცეს გენერალ ალექსეევს. უნდა აღინიშნოს, რომ უფის თათბირს ალექსეევთან ჰქონდა დაჭერილი მტკიცე კავშირი. დროებით, ალექსეევის მოსვლამდე, მისი თანამდებობა ეჭირა გენ. ბოლდირევს. საბოლოოდ „სრულიად რუსეთის დირექტორიის“ შემადგენლობა ასეთი იყო: გენ. ალექსეევი (მის მაგიერ დროებით იყო ბოლდირევი), ნ. ი. ასტროვი, კადეტების ც. კ. წევრი, ნაც. ცენტრის წევრი, ნ. დ. ავქსენტიევი, „აღორძინების კავშირის“ წევრი, ნ. ვ. ჩაიკოვსკი და ციმბირის წარმომადგენელი პ. ვ. ვოლოლოდსკი, ტრუდოვიკი.

ფიქრობენ, რომ ეს უფრო ერთი პირის დიქტატურაა, სახელდობრ ბოლდირევის ან ალექსეევისა. რაც შეეხება მოკავშირეების დამოკიდებულებას, ფიქრობენ, რომ ეს ერთად ერთი შესაძლებელი კომბინაციაა, რომელსაც ისინი ყოველმხრივ დაუჭერენ მხარს.

„სრულიად რუსეთის დირექტორიის“ შედგენის შემდეგ, დამფუძნებელი კრების სამარის კომიტეტი და ურალის მთავრობა გაუქმდენ. რაც შეეხება ციმბირის მთავრობას, ის კი დროებით დარჩება, ხოლო მის თავმჯდომარეთ იქნება არა ვოლოგოდსკი, არამედ ყოფილი რექტორი ტომსკის უნივერსიტეტისა საპოჟნიკოვი.

## თელავის სამაზ. საერობო ყრილობა

**და მომავალი მუშაობა.**

13 ოქტომბერი ისტორიული დღე იყო თელავის მაზრის ცხოვრებაში. მართალია, გარეგნული შეხედვით ეს დღე არ წარმოადგენდა სადღესასწაულო დღეს, მაგრამ ხმოსანთა ჩაფიქრებული თვალები, დინჯი, აუჩქარებელი სჯაბაასი დღიურ წეს რიგში დასმულ კითხვებზე, აშკარათ მოწმობდენ, თუ რა რიგ პასუხისმგებლობას გრძნობდენ ხმოსნები თავიანთ ამომრჩევლების წინაშე.

მაზრა დღემდე უპატრონოთ იყო. არც რევოლიუციამდე და არც რევოლიუციის შემდეგ მას არ გააჩნდა თავისი გულის მესაიდუმლე და თავისი ჭირ-ვარამის დაწვრილებით მცოდნე ავტორიტეტიანი ორგანო.

ქალაქის დემოკრატიამ, როგორც პოლიტიკურათ უფრო გაწვრთნილმა და მომზადებულმა, რევოლიუციის რამოდენიმე თვის შემდეგ უკვე შესძლო ასეთი ორგანოების დაარსება ქალაქის თვითმართველობების სახით, მაგრამ სოფელი, სოფლის მცხოვრებნი დღემდე მოკლებული იყო, ჩვენი რევოლიუციის ეს ერთი უდიდესი მონაპოვართაგანი ცხოვრებაში გატარებია და ის ხორცშესხმულ არსებათ ექცია. 13 ოქტომბერს თელავის მაზრის წარმომადგენლებმა პირველათ შეუდგენ ამ დიად საქმეს.

ბანკის დარბაზში, სადაც ხმოსნებს გარს შემორტყმოდენ სხვადასხვა დაწესებულებების და პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები, ხალხით გაჭედილი იყო. ყოველ მხრიდან მისალოცი სიტყვები, გამარჯვებისა და შრომის უნარის სურვილი—აი რა მოესმოდათ ხმოსნებს და ეს გარემოება ხმოსნებს თითქოს უფრო უორკეცებდა პასუხისმგებლობის შეგნებას. დიდის იმედებით დაბრუნდენ უკან ხმოსნები. ამ იმედებს გადაიტანენ მცხოვრებლებში. არჩეულ გამგეობისაგან მოელიან ამ იმედების გამართლებას. მოელიან, რომ მოკლე ხანში მოეწყობა სოფლად ადმინისტრაცია, რომელიც მიანიჭებს დაჩაგრულს სამართალს. მოეწყობა და მოწესრიგდება სწავლა-აღზრდის საქმე, ფოსტა-ტელეგრაფი, გზები, წყალსადენები და სხვ.

მაგრამ შესძლებს ყოველივე ამას ახალი გამგეობა, გამგეობა, რომელსაც მოუხდება ერთსა და იმავე დროს პრაქტიკული მუშაობაც და სწავლაც ამ ახალ საქმეში?

ჩვენ არა გვაქვს ამ დარგში არც პრაქტიკული და არც თეორიული ცოდნა. ჩვენ მოკლებულნი ვართ იმ საშუალებებსაც კი, რომ ჩვენზე უფრო გამოცდილ მოძმეთა მაგალითებით ვისარგებლოთ.

მაგრამ ჩვენ წინ გვილობება მეორე, გაცილებით უფრო სერიოზული დაბრკოლებანი, რომლებიც ხელ ფეხს გვიბორკავენ რაიმე პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ. ეს გახლავთ უსახსრობა, უფულობა. ჩვენს ნორჩ ერობებს საკუთარი თანხები არა აქვთ. კერძო ბანკე-

ბილან, როგორც ეს შეუძლიათ ქალაქს თვითმმართველობებს, ჩვენ ფურცლის მივიღებთ, რადგან ჩვენ არ გადაგვეცა ჯერ ჯეროვნად არც ინვენტარი და არც უძრავი და მოძრავი ქონებები, რომელთაც მუდმივად სრული უზრუნველყოფილი იქნებოდა. მაშასადამე, დაგვრჩა ერთად ერთი მთავრობა და მისი ხაზინა, მაგრამ ისიც უნუგეშო მდგომარეობაშია.

რა გზას უნდა მიმართონ ერობებმა? რით უნდა დაფარონ თავიანთი ხარჯები? თავის-თავად ცხადია, ნორმალურ პირობებში ამ კითხვებზე პასუხის მიცემა ადვილი იქნებოდა, რადგან ერობამ თანხა ხალხიდან უნდა მიიღოს, ხალხს უნდა გადაახდევინოს საჭირო თანხა, რომ ეს თანხა ამავე ხალხის საკეთილდღეოთ დახარჯოს. მაგრამ დღეს, როდესაც ერობებს, მათ დანიშნულებას და მნიშვნელობას ფართო მასსა ნაკლებათ იცნობს, როდესაც ერობებს ჯერ არაფერი გაუკეთებიათ, რომ ახლავე ყველა ის ხარჯები, რომლებიც საქმის ნორმალური მსვლელობისათვის საჭიროა არის ხალხს მოვსთხოვოთ, მტრული განწყობილება ხალხსა და ერობებს შორის თავიდანვე თავს იჩენს და ეს გარემოება საქმეს დიდათ შეაფერხებს. ჩვენ ამით სრულებითაც არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ხალხს არაფერი გადავახდევინოთ. წინააღმდეგ. ერობები შეუდგებიან თუ არა მოქმედებას, პირველ კითხვათ გადასახადების აკრეფის საქმის მოწესრიგება უნდა დაისვას. მაგრამ გადასახადების აკრეფის საკითხი უნდა რაციონალურათ გადაწყდეს. სისტემა განაწილებისა სამართლიანი იყოს, ხოლო ამისათვის კი საჭირო არის სტატისტიკური ცნობები, მაზრის მცხოვრებთა ავლადიდების ცოდნა.

არც ერთი მაზრა შესწავლილი არ არის, ჩვენ არ ვიცით არა თუ მარტო ეკონომიური მდგომარეობა ამა თუ იმ მაზრის, ჩვენ სწორი ცნობები იმის შესახებაც კი არ გვაქვს, თუ რამდენი სული, რამდენი კომლი ცხოვრობს მაზრაში. ხოლო ეს ცნობები და მათი დამუშავება ის უმთავრესი საფუძველია, რომელზედაც უნდა აეგოს არა თუ მარტო გადასახადების აკრეფისა და განაწილების საქმე, არამედ მთელი მომავალი მოქმედება ჩვენი ახალი ერობების, მაგრამ ვინ უნდა შეკრიბოს ეს ცნობები? ვინ უნდა დაამუშაოს ეს მასალა, თუ არა ერობებმა? ხოლო ამისთვის კი სახსარია საჭირო და აი ამ სახის თანხისთვის მთავრობამ უნდა გაუხსნას კრედიტი ერობებს. ჩვენ კარგათ გვესმის ჩვენი რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც სხვა სახსარი არ გაგვაჩნია? ნაწილი გადასახადისა, თავის თავად ცხადია, ეხლავე უნდა გადახდეს ხალხს, მით უმეტეს, რომ სამი წლის გადასახადები მათზე ითვლება და ეს გადასახადები უნდა აკრეფილ იქნეს ნაწილი მაინც.

ერთი სიტყვით ხარჯები, რომლების გაწევაც ეხლავე საჭიროა და საორგანიზაციო ხარჯების ხასიათს ატარებენ, უნდა მთავრობამ მისცეს ერობებს სესხათ. ხოლო რაც შეეხება ისეთ ხარჯებს, რომლებიც სოფლის დღიური მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, სოფლებიდან უნდა იქნეს აღებული.

18 ოქტომბრის სხდომაზე ხმოსნებმა (ფრაქციულად) დიდი ყურადღება მიაქციეს სოფლად ადმინისტრატიული აპარატის მოწყობის საქმეს. ყველა ერთხმად აღიარებდა სოფლის უმწეო მდგომარეობას ამ მხრით. ეს არც გასაკვირველია, რადგან უკანასკნელ ხანებში სოფლად ფაქტიურად ადმინისტრატიული აპარატი აღარც კი არსებობს, რაც ანარქიის აღმი ხვევს სოფლის ცხოვრებას. თუ სოფლის მცხოვრებლებს შეერყათ იმედი ჩვენი მთავრობისადმი და ბევრს სოფლებში ნიკოლოზის პრისტავებსაც კი ნატრობენ, ეს უმეტეს ნაწილათ სწორედ იმით აიხსნება, რომ სოფლად ადმინისტრაცია ან სრულებით არ არსებობს და თუ სადმე მაინც მოიძებნება კომისარი თითო-ოროლა ჩამოგლეჯილი მილიციონერით, ეს პირები ადმინისტრატორის მოვალეობის ნაცვლათ მექრთამეობის განსახიერებას წარმოადგენენ.

სოფელი ამ მხრით განსაკუთრებულ პირობებში ცხოვრობს. სოფლის მცხოვრებელი, როგორც წვრილი მესაკუთრე, მუდამ დავა-სიჩივრის ქსელშია გახვეული. აქ ღორი მოუკლეს, აქ ყანა მოუძოვეს, ქათამი მოჰპარეს, სამზღვარზე შეეცილნენ, იმან ვალი არ გადაუხადა, ამან გზა დაუკეტა და წყალზე არ მიუშვა და სხვ. თუ ქალაქში მაზრის-კვირაობით დემოკრატია დღესაც წარმომადგენლებზე მიდის, სოფლად სოფლელები „კანცელარიაში" მიდიან საჩივლელ სადავიდარაბოთ. ასეთ საჩივრებს პასუხის გაცემა უნდა, მეზობლის მეზობლისადმი დამოკიდებულების მოწესრიგება და მართლმსაჯულება, ხოლო ყველა ამ კითხვებს სოფლად ადმინისტრატიული აპარატი ესაჭიროება.

ერობები შეუდგებიან თუ არა მუშაობას, პირველად ყოვლისა ამ კითხვას მიადგებიან.

ვის უნდა ემორჩილებოდეს სამაზრო ადმინისტრაცია? სამაზრო ერობას, თუ გუბერნიის კომისარს. ვინ ითხოვს და ვინ აყენებს მაზრის კომისარს. ერობა თუ გუბერნიის კომისარი? ამის შესახებ ჩვენი საერობო დებულებანი გარკვეულ პასუხს არ იძლევიან. თუ სამაზრო ადმინისტრაცია მაზრის კომისარის ხელ ქვეშ იქნება და მაზრის კომისარი გუბერნიის კომისრის ინიციატივით დანიშნული, სამაზრო ერობასა და სამაზრო კომისარს შორის კონფლიქტებს მუდამ ადგილი ექნება. ხოლო ეს გარემოება დიდათ შეაფერხებს საქმის ნორმალურ მსვლელობას. ეს კითხვა ეხლავე უნდა გადაჭრას ჩვენმა მთავრობამ და მაზრის ადმინისტრაციის სვე ბედი სამაზრო ერობის ხელში უნდა გადავიდეს.

თუ ეს ორი კითხვა—კითხვა ფინანსების შესახებ და ადმინისტრაციის დადგენით გადაიჭრება, ჩვენი ნორჩი ერობები, იმედია, შესძლებენ ნაკისრ მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

ბ. ჭუმბურიძე.

## ქალაქის თვითმართველობების მოსამსახურეები

18 ოქტომბერს ქალაქის თვითმართველობების მოსამსახურეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა გაუგზავნა ქალაქის საბჭოს რეზოლიუცია 12—16 ოქტომბრის კომიტეტის სხდომებზე მიღებული. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ მოსამსახურეებს სამ თვეზე მეტია ჯამაგირი არ მიუღიათ. შეუძლებელია ასეთ პირობებში ნორმალური მუშაობა. მოსამსახურეები მოითხოვდენ დაუყონებლივ ჯამაგირების დარიგებას.

რეზოლიუციაში აღნიშნული იყო, რომ აღმასრულებელი კომიტეტი ყოველთვის უარყოფით უყურებდა თვითმმართველობების მოსამსახურეთა აგრესიულ გამოსვლებს, რომელსაც შეუძლიან დიდი ზიანი მიაყენოს ქალაქის მცხოვრებლებს და აგრეთვე მთელ სახელმწიფოს. კომიტეტმა გააფრთხილა საბჭოს, რომ ის მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ მოსამსახურეების მხრით არავითარ აქტიურ გამოსვლებს არ ჰქონდეს ადგილი იმ შემთხვევაში, თუ კი ქალაქის საბჭოს 25 ოქტომბრამდე დაურიგებს ჯამაგირებს.

23 ოქტომბერს მოხდა შეერთებული კრება ქალაქის საბჭოსი და აღმასრულებელ კომიტეტის. ამ კრებაზე შემდეგი დადგენილება მიიღეს:

1) მიღება და დათხოვნა მოსამსახურეებისა (გარდა ადმინისტრატიულ თანამდებობისა) სრულიად შესწყდეს.

2) რეორგანიზაცია შტატების ტარდება ადგილობრივათ შერეულ კომისიების მიერ, რომელშიაც შედიან წარმომადგენლები ადგილობრივ საბჭოების, აღმასრულებელ კომიტეტის და ქალაქის საბჭოების თუ ვინიცობაა მოსამსახურე შტატების შემოკლების გამო დარჩა შტატის გარეშე, ის უნდა გადაიყვანონ ან სხვა თანამდებობაზე ან და ჩარიცხონ სპეციალურად ამისთვის დაარსებულ რეზერვში.

3) ქალაქის საბჭო მიიღებს ყოველივე ზომებს რათა მთავრობამ გაიღოს ნახევარი ხარჯები მილიციის შესანახად.

4) ქალაქის საბჭო მიიღებს ენერგიულ ზომებს, რომ საჩქაროთ მიიღოს გრძელ ვადიანი სესხი მთავრობისაგან ფინანსიურ კრიზისის თავიდან ასაცილებლათ.

5) ქალაქის საბჭო მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ მოუმატოს შესაფასებელი გადასახადი, რომელსაც განსაზღვრავს არა შემოსავლის მიხედვით, არამედ ქონების საფასურის მიხედვით. რაც შეეხება ჯამაგირების დარიგების უკანასკნელ ვადას, საბჭო აცხადებს, რომ მას არ შეუძლიან დანამდვილებით აღნიშნოს ის რიცხვი, როდესაც დაურიგდებათ ჯამაგირები მოსამსახურეებს, რადგანაც არ შეუძლიან საბჭომ პირობა დასდოს იმის შესახებ, რომ ქალაქის შუამდგომლობა მთავრობის წინაშე სესხის შესახებ მიზანს მიაღწევს და აგრეთვე ძნელია იმის თქმა, თუ როდის შესძლებს მთავრობა ფულის მიცემას. ყოველ შემთხვევაში იქნება მიღებული ყოველივე ზომები, რომ ერთი ან ორი კვირის განმავლობაში მოეგვარდეს ეს საქმე.

აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა რა პასუხი საბჭოსი დაადგინა: ეს კითხვა გადაეცეს განსახილველად არაჩვეულებრივ დელეგატთა კრებას, რომელიც მოწვეულია 27 ოქტომბერს. X.

## მუშათა შორის

**ხაშური.** 17 ოქტომბერს მოხდა ხაშურის რაიონის რკინიგზის მუშა მოსამსახურეთა კრება, რომელსაც დაესწრო 400-დე მუშა. მოხსენებას აკეთებს ნ. ზაქარიაძე: ის ვრცლათ შეეხო საქართველოს რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა დელეგატების პირველ ყრილობას. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, უმთავრესათ სასურსათო და სწავლა-განათლების შესახებ. როგორც საზოგადოთ, სასურსათო კომიტეტებზე და კერძოთ ადგილობრივზე დიდი უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. სიტყვას თხოულობს პასუხისმგებელი პირი ს. ბაბლიძე. მან თავისი უადგილო გამოსვლით აღშფოთება გამოიწვია ამხანაგებში. ამ შემთხვევას სათანადო ყურადღება მიაქციეს ამხანაგებმა, მით უმეტეს მისი გამოსვლა იყო იმ დროს, როდესაც ხალხი აღელვებული იყო. შემდეგ სასურსათო კომიტეტებში დამნაშავე პირების დასჯას, გასამართლებას მოითხოვდენ, მაგალითად უძრავ მოძრავი ქონება გაუყიდონ, ციხეში ჩასვან ან ადგილობრივათ გაასამართლონ. მოხსენებელმა სამართლიანი პასუხი გასცა ბაბლიძეს, რაზედაც უკანასკნელმა მის მოხსენებას უწოდა დემაგოგობა. შემდეგ ყრილობამ მიიღო დეპოს მუშების შემდეგი განაჩენი: 1) დამნაშავე პირები იქნენ გამორიცხული ყველა რევოლიუციონურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებიდან, 2) სამსახურიდან დათხოვნილნი იქმნენ, 3) ისე მოსამსახურეთაგანს, თუ ვინმეს, რაც ერგებოდა, კიდევ თუ აქვს 10 დე გ. შაქარი წაღებული, გადახდეს ბაზრის ფასები ან მოიტანოს უკან იმდენივე და ექვსი თვით ჩამოერთვას სასურსათო წიგნაკი. ამ კრებაზე იყო სარევიზიო კომისიის მოხსენება და სხვა. ეტყობა, მუშები ჯერ მთლად არ გამორკვეულან დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში, რადგანაც პროვოკაციულ გადასროლილ ანკესზე ზოგიერთები ეგებიან. მაგრამ იმედია ადგილობრივი ორგანიზაციების ფხიზელი მოქმედებით ახლო მომავალში ბოლო მოეღება ასეთ გაუგებრობას.

ატე.

## ს.-დემ. პარტიაში

**ქ. ჭიათურა.** 9 ოქტომბერს შესდგა ჭიათურის ახლათ არჩეული სოც.-დემოკრატიული კომიტეტის კრება. გასარჩევი იყო: 1) პრეზიდიუმის არჩევა. 2) ანგარიშის ჩაბარება ძველი კომიტეტისაგან, და 3) პარტიული მუშაობის გაძლიერება სოფლად. ახლათ არჩეულ კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. გ. ანთელიძე, თავმჯდომარის ამხანაგათ ამხ. სერ. სიხარულიძე და მდივნათ და ხაზინადრათ ამხ. ის. ხარატიშვილი. ამავე სხდომაზე კომიტეტმა ჩაიბარა ძველი კომიტეტისაგან ანგარიშები და ინვენტარი.

რაც შეეხება სოფლათ პარტიულ მუშაობას კომიტეტმა გადასწყვიტა გაორკეცებული ენერგიით შეუდგეს ჭიათურა-საჩხერის რაიონებში ანარქიით დანგრეულ პარტიულ ორგანიზაციების აღდგენას და მუშაობის გაჩაღებას, ამასთანავე კომიტეტმა დაადგინა ახლო მომავალში მოწვეული იქნეს ჭიათურაში ორი რაიონის ორგანიზაციის პარტიული კონფერენცია, სადაც გამომუშავებული იქნება უფრო ფართოთ მომავალი ჩვენი მუშაობის გეგმა სოფლად.

ს. სიხარულიძე.

## პროვინცია

**ლეხაინდრაო-ონოღის საზოგადოება** (სამეგრელო) უკანასკნელი აღწერით შვიდიდან რვა ათასამდე სული ითვლება ორივე სქესის. ამ უდიდეს საზოგადოებას სენაკის მაზრაში ერთი ფერშალიც არა ჰყავს, ექიმზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

ყოველგვარი ავადმყოფობა აქ ფართე ნიადაგს პოულობს და სიკვდო ზიანიც მოაქვს მცხოვრებთათვის. ამ უკანასკნელ დროს აქ გავრცელებულა ეგრედ წოდებული „ისპანკა", რაც მუსრს ავლებს სოფლელთ. იშვიათად მოიპოვება ისეთი ოჯახი, სადაც ორი ან სამი ავათმყოფი არ იწვეს. თითქმის ყოველ დღე თითოთ თუ ხუთმეტამდე ავათმყოფი სამუდამოდ ესალმება წუთისოფელს და თუ ასე გაგრძელდა მომავალში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შედეგს მოუტანს საზოგადოებას.

საჭიროა ამ მოვლენის დროზე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და დაუყოვნებლივ დაარსდეს საზოგადოებაში საფერშლო პუნქტი, მანამდე კი გაიგზავნოს გამოცდილი ექიმი. მართალია, დაბა ბანძაში, რომელიც საზოგადოებას ოთხ ვერსზედ აკრავს, არის ერთად ერთი ექიმი, მაგრამ ის ვერ დააკმაყოფილებს მთელს ბანძის რაიონს, სადაც რამოდენიმე ათი ათასი მცხოვრები ითვლება.

როგორც ამ საზოგადოებაში, ისე მთელს სენაკის მაზრაში, როგორც სარწმუნო წყაროდან გვეგეთ, მღვდლებს მრევლთათვის ბოიკოტი გამოუცხადებიათ და არავითარ მღვდელთმსახურებას არ ასრულებენ მიზეზად უსახსრობას ასახელებენ და მოითხოვენ მრევლთაგან დაკმაყოფილებას.

ამ ამბავს ხალხი გულდამშვიდებით შეხვდა, ზოგიერთ სოფლებში ეკლესიის გასაღებები მნათეთათვის უკვე ჩამოურთმევიათ და მათთვის კეთილსაიმედო პირთათვის გადაუციათ. ამ უკანასკნელთათვის კი წინადადება მიუციათ არამც და არამც ბოიკოტის გამომცხადებელი სულიერი მამები ეკლესიაში არ შეუშვან. მოკლე ხანში განუზრახავთ ამ თანამდებობაზე მათთვის სასურველი პირები მოიწვიონ.

სამეგრელოში მღვდლები ქონებრივად თითქმის ყველა, გარდა მცირედი გამონაკლისისა, უზრუნველყოფილნი არიან. რაც რამ კარგი გააჩნდა მეგრელს, სულიერ მამასთან მიჰქონდა, რომ ჯანმრთელად ეცხოვრა მისი ლოცვის მეოხებით და მიცვალებულიც სამოთხის კარებს მიჰქცეოდა.

რომელიმე სოფელში შესვლისთანავე სამეგრელოში, უცხო პირიც ადვილად გაარჩევს მღვდლის ოჯახს. ძველებური გაშლილი ეზო, გადახურული ჭიშკრით, რამოდენიმე სახლებით ჩამწკრივებული, ეს უსათუოდ სულიერი მამის საკუთრებაა. ირგვლივ კი შეამჩნევ ძველებური ისლით დახურულ ქოხ-მახებს, რაც მისი მრევლის ავლადიდებაა.

სულიერ მამათა ასეთი ქცევა სრულიად გასაკვირი არაა. მათ შემოაკლდათ ძველებური ტირილ-ქელეხების შემოსავალი. მღვდლის ბოიკოტს მრევლი არ შეუშინდა და თხოვნა მუდარით, რომ მათ ბოიკოტი მოეხსნათ, მღვდლისათვის არ მიუმართავს.

მიწის საკითხი საზოგადოებაში ჯერ მოგვარებული არაა. საადგილ-მამულო კომიტეტი არც კი არსებობს და კომისიას ამ საზოგადოებაში მუშაობა დღემდე არ არ დაუწყვია. სასურველია ეს საქმე, რაც შეიძლება მალე დასრულდეს, რომ ამ ნიადაგზე აღმოცენებულ ანარქიას, რასაც აქ ხშირათ აქვს ადგილი, ბოლო მოეღოს, მასთან სოფლელი მუშაც დარწმუნდეს, რომ მემამულეს, როგორც მას მოწინავე პირები ჩააჩიჩინებენ, ნორმის ზევით ქონებული ადგილები მთავრობის დეკრეტის ძალით უკვე ერთმევა და უმიწაწყლო მუშას ეძლევა.

სოფლელი.


## განცხადებანი

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბავშვო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალთა 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. ლის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

**ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (ვაკე) № 6. ტელეფ. 1—04.

**ექიმი გ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ქენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

**სამკურნალო კაბინეტი ექიმ ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 118, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**ექ. ქალი ლ. ზ. შიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ქენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთა და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღ. 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9-26

**ექიმი ლ. ა. სარაძე**
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ლებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან და ბავშვთა, საბებიო და საშვილოსნოს ანთებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

**კბილის საექიმო კაბინეტები თედორე ხაჭვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5–6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ № 15. ტელ. 18—03.

**რენგტენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენგტენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოთერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექის ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

**ექიმი დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ [illegible] და, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, [illegible] ქუჩა, № [illegible] ტელეფონი № 14—09.

**მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა**
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, კუჭისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

**ქ. ხონი.**
**ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.**
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

**ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ლებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

**ექიმი ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სიმონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

**ექიმი ბ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57, აფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 3—77

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
ჰიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

**ექიმი ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ლებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ
**ნოე ჟორდანიას** ახალი ბროშიურა:
**„სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია"**
ფასი ერთი მანეთი. გამოცემა საოლქო კომიტეტისა.
აგენტებს და გამყიდველებს, ვინც წაიღებს არა ნაკლებ 50 ცალისა, დაეთმობათ ოცი პროცენტის დაკლებით. ფული წინდაწინ უნდა იქნას გადახდილი. საწყობი „ერთობის" რედაქციაში.

დილის წარმოდგენა. **სახელმწიფო თეატრი** დილის წარმოდგენა.
კვირას, 27 ოქტომბერს, 1918 წ.
საქართველოს ჯარის სამუსიკო საქმეთა გამგის და მთავარლოტბარის კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით პირველად თფილისში
გაიმართება
**ქართულ-გერმანული სამხედრო მუსიკის სანიმუშო კონცერტი**
დამკვრელთა ჯგუფების ცალცალკე გამოსვლის შემდეგ, ქართველ-გერმანელთა მრავალრიცხოვანი ორკესტრი (100 კაცი) კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულებს ქართულ სამხედრო მუსიკის სანიმუშო პიესებს. შესრულებული იქნება სხვათა შორის კ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებული ძველი ქართული ჰიმნები: იამბიკოები, მუნახიპები, ქებადები, სავრი და სხვანი. პროგრამაში შედის აგრეთვე ახალი გაორკესტრებით: ქართული ეროვნული ჰიმნი, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა, თავისუფლების მარში, არმაზის ჰიმნი, „კერპთა დამხობის" ოპერიდან და სხვანი. დასასრულ დაიდგმება სიუცხოვო აპოთეოზი—ცოცხალი სურათის სახით აღიმართება—თავისუფალ საქართველოს ძეგლის პროექტი.
დასაწყისი შუადღის 12 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

კვირას, 27 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში (მიხეილის ქ. № 91) შესდგება ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა
**საზოგადო კრება**
დღის წეს რიგი: 1) კოლექტივის მოქმედება, 2) კოლექტივის წევრთა ხელახალი არჩევნები, 3) თფილისის კომიტეტის წევრთა არჩევნები, 4) პარტიული ყრილობის დელეგატების არჩევნები.

**მეოთხე რაიონის კოლექტივი**
კვირას, 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაში (მე-6 სავაჟო გიმნაზია, უდელის ქუჩა, № 3) იწვევს აღნიშნულ რაიონის ს. დ. მ. პარტიის წევრთა
**საზოგადო კრებას**
(ეს კრება გაგრძელებაა პირველ კრებისა)
განსახილველია: 1) მომავალ საოლქო ყრილობის დღის წეს რიგი,
2) დელეგატების არჩევა ყრილობაზე გასაგზავნათ.
ყრილობის კითხვების შესახებ მოწვეულია სპეციალური მომხსენებელი.
ვსთხოვთ წევრებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.
კოლექტივის პრეზიდიუმი.




ივერიელი